საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი 14 თებერვალი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15X2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. წინათ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 6, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-13-თან.

№ 35 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 35

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდათუთქულნი: დედა კლასი, მამა არტემ, ძმები: სანდრო, გრიშა, ესიკო, დათიკო და კოკუტი, დები: ანიჩკა და ლიზა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასის

თამარა არტემის ასულ კალანდაძის

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ხიდისთავში, (გურია) კვირას, 15 თებერვალს. (533—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი და გაუბედურებული მეუღლე ემელიანე, შვილი ვალენტინ (ტატუნა) მამამთილი იერო, დედამთილი პელაგია, მაზლები: ერმილე, კოწია და ვენედიკტე, მულები: ჟოჟო, ბაბილინა და ნინიჩკა, რძლები: პისტი და ოლია, მაზლის შვილები: ლეო (პუპუკა) და გიგი, ნათლიდედა ლიზიდი კალანდაძეები, სიძე ერმალო გიორგაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სამშაბათს, 10 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

თამარა არტემის ასული კალანდაძისა

რომლის დაკრძალვა მოხდება დაბა ხიდისთავში (გურია) კვირას 15 თებერვალს 12 საათზე წმ. გიორგის ეკლესიაში. (538 2—1)

მშობლები: ეფემია და დეკ. გიორგი ასათიანი, დები: ნინო, თამარ, ქეთევანი, რუსუდანი და ეკატერინე, ძმები: ლავრენტი, გიორგი და ლევან, რძლები: რახილ და ანნა; სიძეები: ჩეკურაშვილი და გრიგორაშვილი, დისწული მათიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 15 თებერვალს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

შუშანიკა ასათიანის

სულის მოსახსენებლად სიონის ტაძარში. წირვა დაიწყება დილის 10 ს. პანაშვიდი 12 ს. 539 2—1)

გულდათუთქული მეუღლე სონა გრიგოლის ასული მესხიშვილისა ალექსი, ივანე, გიორგი მესხიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 14 თებერვალს კალოუბნის ეკლესიაში დილის 12 საათზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

გრიგოლი (გიგო) ანდრიას ძე მესხიშვილის

სულის მოსახსენებლად. (541—1—1)

კვირას 15 თებერვალს ანჩისხატის ტაძარში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულებისა

დავით კრისტეფორეს ძე სულხანიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ნინო დიმიტრის ასული, დედა სალომე ივანეს ასული, შვილები: გიორგი, შაქრო, სოფიო, ძმები: ალექსი და მიხეილ ქრისტეფორეს ძენი სულხანიშვილები და ცოლის და მარიამი დიმიტრის ასული ჩუბუნიშვილისა. წირვის დასაწყისი 9 ნახევარ საათზე. (544—2—1)

ღრმად დამწუხრებულნი ლავრენტი ლუარსაბის ძე გრიგოლაშვილი და ასული მისი თინა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარ მეუღლის და მეორე საყვარელი დედის

ოლღა გრიგოლაშვილისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზედ ქ. ქუთაისში საკუთარ ბინაზედ ივანოვის ქუჩ. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას 15 თებერვალს საფიჩხიის სასაფლაოზედ. (543—2—1)

მიწათ-მოქმ. სამინისტროს სამიჯნაო განყოფილება

[illegible] მიწის მზომელნი თავისუფალ ადგილებზე რესპუბლიკის ყველა საერობო სამიჯნაო განყოფილებებში გარდა თფილისისა. სამსახურის პირობების გაცნობა შეიძლება სამიჯნაო განყოფილების კანცელარიაში (ყოფილ კადეტთა შენობა) 9—3 საათამდე. (448—3—3)

საქართველოს ფეთიაქართა კავშირის გამგეობა ამით აუწყებს ბ. ბ. წევრებს, რომ 22 თებერვალს 1920 წელს, დილის 11 საათზე, ქ. თფილისში, რუსთაველის ქუჩა, № 34, კოოპერატივ „ზაკო"-ს კანტორაში დანიშნულია

საზოგადო კრება

განსახილველად შემდეგი საკითხებია: 1) ახალი ხელშეკრულება ფეთიაქის მოსამსახურეებთან, 2) ახალი ფეთიაქის ნიხრი, 3) სპეციალური საფარმაცევტო ჟურნალის გამოცემა და 4) მიმდინარე საკითხები. (530 1—1)

გორის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 20 თებერვლიდან გორის საოსტატო სემინარიის შენობაში მოწყობილი იქნება სახალხო სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად

კურსები

კურსები გაგრძელდება 20 თებერვლიდან 1 ივლისამდე. კურსებზე მიღებულ იქნებიან არა ნაკლებ 4 კლასის განათლებით. კურსისტებს ექნებათ მუქთი ბინა გათბობით და განათებით. მსურველებმა უნდა გამოგზავნონ თხოვნები სამაზრო ერობის სახელზე. (6. 3—1)

მესამე რაიონული კოლექტივი

საქ. ს. დ. მ. პ. კვირას, 15 თებერვალს, დილის 10 საათზე მუსულმანთა აუდიტორიის შენობაში (მოედანი) დანიშნულია მე-6 რაიონის საქ. ს. დ. მ. პ.

წევრთა კრება

დღის წესრიგი: 1 მოხსენება მომენტზე ალ. ლომთათიძე. 2) მოხსენება კოლექტივის მუშაობის შესახებ. 3) სარევიზიო კომისიის, 4) არჩევნები. (უფ. 2—1)

ახალი წიგნი

ყარიბისა

ამ დღეებში გამოვა ყარიბის ახალი შრომა „წითელი წიგნი" რუსულ ენაზე, რომელიც შეიცავს დაახლოვებით 250 გვერდს. გამოცემა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობისა. წიგნის შეძენის მსურველთ უნდა მიმართონ: 1) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში რუსთაველის ქუჩაზე. 2) კანაძის წიგნის მაღაზია „ახალ სიტყვაში" და 3) „ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის" სტამბაში, რუსთაველის ქუჩა № 26. (542—2—1).

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (6.—თ.).

გამოცდილი მასწავლებელნი

ამზადებენ

მოზრდილთა 3, 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობის მისაღებად. მიხეილის პროსპექტი № 25, შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5, 3 ს.—7 საათ. (519 4—2)

კბილის ექიმი აგრაფინა დავითის ასული

აბაზაძე

განაახლა კერძო პრაქტიკა. იღებს ავადმყოფებს დილ. 10—1 ს. და 4—6 ს. საღ. ელისაბედის ქუჩა № 49 (კუთხე ელისაბ., რეუტ. და ბელგიელების ქუჩ.). (467 6—4)

თემთა წარმომადგენლების თათბირი

დიდათ საყურადღებოა თემთა წარმომადგენლების თათბირი, რომელიც გაიხსნა თფილისში 10 თებერვალს. ის მოხსენებანი, რომლებიც გააკეთეს საქართველოს ყველა კუთხეების თემთა მოღვაწეებმა, საშუალებას გვაძლევს მთელი ჩვენი ხალხის ჭირ-ვარამში ჩავიხედოთ და მისი უმთავრესი საჭიროებანი ნათლად გავითვალისწინოთ.

თემი—ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და მასთან ერთად ყველაზე სუსტი ორგანოა ჩვენი რესპუბლიკისა. თემი რომ მოწყობილი და გამაგრებული იყოს, ჩვენი რესპუბლიკის მომავალი სრულიად უზრუნველყოფილი იქნებოდა. და სანამ თემი მოუწყობელი, სუსტი და ეკონომიურად ისე უმწეო იქნება, როგორც დღეს არის, სახელმწიფოს გამაგრებაზე და მის სიმტკიცეზე ოცნება ზედმეტია.

თათბირზე სავსებით გადაიშალა თემის სისუსტის მთავარი მიზეზები. ყოველს თემს აქვს თავისი განსაკუთრებული სუსტი მხარეები, მაგრამ არსებობს ყველა თემების სისუსტის საერთო მიზეზებიც. და თათბირზე ეს მიზეზები თემების წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს.

უმთავრესი გარემოება, რომელსაც ჩვენის თემის ცხოვრებაში არევ-დარევა შეაქვს და მის საქმეებს აბრკოლებს, მდგომარეობს მის უფლება-მოვალეობათა გაურკვევლობაში. თფილისის მაზრის თემთა წარმომადგენელი ჩივის, რომ „თემსა და სამაზრო ერობას შორის ურთიერთობა სრულიად გაურკვეველია". შორაპნის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „თუმცა თემის და სამაზრო ერობის ურთიერთობა ჯერ-ჯერობით გაფუჭებული არ არის, მაგრამ თუ არ იქნა გამორკვეული თემის უფლებრივი მდგომარეობა, გამწვავდება აუცილებლად მომავალში".

ეს გაურკვევლობა თემის ცხოვრების ყველა მხარეებზე ახდენს არევ-დარევას და პირდაპირ გამანადგურებელ გავლენას. თემმა არ იცის თავისი საბიუჯეტო უფლებები, ამიტომ მას სრულებით არა აქვს გამორკვეული ეკონომიური ძალა. ზოგი თემი შემოსავლის ერთ წყაროს ადებს ხელს, ზოგი—მეორეს, ზოგი აქეთ-იქით ეხლება და იმისთანა ღიმის მომგვრელ ზომასაც კი მიმართავს, როგორიც არის საქველმოქმედო წარმოდგენის გამართვა თემის გამგეობის წევრთა თაოსნობით (იხ. თფილისის მაზრის წარმომადგენლის კილასონიას მოხსენება).

თემის ცხოვრებაში ერევა ყველა, ვისაც არ ეზარება. გარდა სახელმწიფოს ცენტრალური მთავრობისა, გარდა სამაზრო ერობის გამგეობისა, მის საქმეებში ერევიან მილიციის უფროსები, მომრიგებელი მოსამართლეები და სხ. თფილისის მაზრის თემთა წარმომადგენელი ჩივის, რომ სარაიონო მილიციის უფროსები „წარა მარა აპატიმრებენ სოფლის ადმინისტრაციის თანამდებობის პირთ, სოფლის კომისარებს თანამდებობიდან აყენებენ, თემის გადასახადებს კრეფენ და თემის დაუკითხავად ხაზინაში შეაქვთ." მომრიგებელ მოსამართლეს მხრივ თემის საქმეებში ჩარევაზე ჩივიან შორაპნის და თფილისის მაზრების თემთა წარმომადგენლები. უკანასკნელი მაზრის წარმომადგენელი ამბობს: „სრულიად გამოურკვეველია თემთა ურთიერთობა მომრიგებელ მოსამართლეებთან, რომლებიც ხშირად ერევიან თემის საბჭოს დადგენილებებში".

თემმა არ იცის, რის უფლება აქვს და რის—არა. ზოგი თემი სურსათის ნაკლებობის გამო კრძალავს თავის საზღვრებიდან სურსათის გატანას, ზოგი იარმუკებზე აწესებს გადასახადებს, ზოგი—წისქვილებზე, ზოგს ნატურალური ბეგარა შემოაქვს, ზოგი მორწმუნეთა და ღვდელთა ურთიერთობაში ერევიან და სხ. და სხ.

ყველა ამას [illegible] უწესოება შეაქვს თემის საქმეებში, რომ თემს სრულიად [illegible] კანონიერებაზე; თემის მცხოვრებნი გაურკვეველ მდგომარეობაში ვარდებიან და მისი წარმოდგენა სახელმწიფოს შესახებ ბურუსში ეხვევა.

თვითმართველ ორგანოების კომპეტენციები სასწრაფოდ უნდა განისაზღვროს და ამ ორგანოთა ურთიერთობაში უნდა რაც შეიძლება მალე შეტანილ იქნეს სრული გარკვეულობა. თემმა უნდა იცოდეს, რის უფლება აქვს მას, რის—არა. იგი უნდა გარკვეულად იცნობდეს თავის ფინანსიურ ძალას, ამისათვის მას გამორკვეული ბიუჯეტი უნდა ჰქონდეს, უნდა იცოდეს, რა შემოსავლის წყაროები აქვს მას, სახელმწიფო და სამაზრო შემოსავლის რა ნაწილზე შეუძლიან ჰქონდეს იმედი. მას ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმაზე, თუ ვის და რამდენად შეუძლიან მის საქმეებში ჩარევა.

ეს საკითხები პირდაპირ დაყენებული იყო თემთა წარმომადგენლების თათბირზე, რომელმაც უკვე შეიმუშავა ერთნაირი სამაგალითო პროექტი თვითმართველობის სხვადასხვა ორგანოების განსაზღვრისა. ბევრი რამ ამ პროექტში სრულიად მისაღებია, ზოგიერთმა რამემ შეიძლება წინააღმდეგობა გამოიწვიოს. მაგრამ თათბირმა დიდი საქმე გააკეთა უკვე იმით, რომ სახელმწიფოს პირდაპირ დაუყენა საკითხები, რომლებიც სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვენ. თათბირის ნამუშავარი იმის მაუწყებელია, რომ ჩვენ თემებში საქმიანობის უნარი იღვიძებს, რომ ჩვენი თემები უკვე იჩენენ ინიციატივას თავის საქმეების გაძღოლაში და უჩვენებენ უკვე სახელმწიფოსაც კი იმ გზას, რომლითაც სიარულსაც მოითხოვს ხალხის კეთილდღეობა.

ოსმალეთის ტრაგედია

1917 წელს 5 დეკემბერს კავკასიის ფრონტზედ ქ. ერზინჯანში ოსმალეთთან დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ ჩვენ ვწერდით ამ ზავის და საქართველოს მაშინდელ საგარეოს გამო: „ოსმალეთის მმართველ წრეებს მხოლოდ ოცნებაში შეუძლიათ ფიქრონ იმაზედ, რომ შეიძინონ ახალი ქვეყნები. იმათ კარგად უნდა იცოდენ, რომ არც ერთი ევროპიული სახელმწიფო არ დაეთანხმება, რომ ოსმალეთის იმპერიამ ახალი კოლონიები შეიძინოს. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ოსმალეთი კარგავს თავის ტერიტორიას. ჩვენ არა ვართ დარწმუნებული, რომ ამ ომის დროსაც ოსმალეთი დარჩება თავის ძველ საზღვრებში. ევროპის სახელმწიფოთა თათბირის დროს, ომის გათავების შემდეგ, არა ერთხელ იქნება კრიტიკული მომენტი, როდესაც ევროპიელები სუსტი სახელმწიფოების დარიგებით და გადაკეთებით მოინდომებენ უხერხულ მდგომარეობიდან გამოსვლას" („ერთობა" 17 დეკემბერი 1917 წ.).

ჩვენი მაშინდელი აზრი სავსებით გამართლდა. მართალია, ოსმალეთმა მოინდომა საქართველოს დაპყრობა, მაგრამ მის გეგმას წინ აღუდგა მისი მოკავშირე „ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთაგანი". და ამ კითხვაში დაიდო ერთნაირი უკმაყოფილება, მეტი რომ არ ვთქვათ, ორ თანამებრძოლ სახელმწიფოს შორის. ხოლო ამის შემდეგ რაც მოხდა, ჩვენმა მკითხველმა მშვენივრად იცის. დღეს მართლდება ჩვენი მეორე დებულება. ევროპის გამარჯვებული სახელმწიფოები დღის წესრიგში სვამენ ოსმალეთის დაყოფის საკითხს. ჩვენ ვიცით, რომ „ანტანტა"-ს სახელმწიფოები ამ შემთხვევაშიაც სოლიდარულად არ გამოდიან. მოკავშირეები რყევებს განიცდიან და პარიზის კონფერენციის ზოგიერთი წევრი, სხვადასხვა მოსაზრებით, ფიქრობს ერთბაშად გადასწყვიტოს ოსმალეთის საკითხი და სცდილობს რბილად მოექცეს ოსმალეთს. უკანასკნელს შეეძლო ესარგებლა ასეთი მდგომარეობით და რაც შეიძლება მისთვის ხელსაყრელი ზავი ჩამოეგდო. საუბედუროდ მან დაიჭირა მეტად რთული საერთაშორისო პოლიტიკაში საკუთარი ხაზი და სრულიად ფანტასტიური გეგმებით სურს მოაწყოს თავისი მომავალი. ჩვენთვის აშკარაა, რომ მოსკოვის მთავრობას საიდუმლო მოლაპარაკება აქვს ზოგიერთ ევროპის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებთან, უკეთ ვთქვათ, მათ აგენტებთან. ამ მოლაპარაკების დროს უსათუოდ დიდ როლს თამაშობს მუსულმანთა კითხვა საერთოდ და ოსმალეთი კერძოდ. საბჭოთა მთავრობა უეჭველად შეეცდება შესაფერისად გამოიყენოს მისი გავლენა აღმოსავლეთში რუსეთისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის. თუ აქ რამე დაუთმეს მას ევროპაში, ის ისე შეაქცევს ზურგს ოსმალეთს, დროებით მაინც, როგორც შეაქცია ზურგი ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარაკების დროს წითელ ფინლიანდიას და მის მაშინდელ კომუნისტურ მთავრობას.

მეორე მხრივ თვით ოსმალეთის ზოგიერთი წრეები ფიქრობენ გავლენა მოახდინონ ევროპაზედ თავისი გარეგნული სიმპატიით საბჭოთა რუსეთისადმი და ამ ნაირად მოკავშირეებს მისაღები ზავი შეაკვრევინონ. ასეთ გზას ადგენ უნგრეთის ლიბერალური ბურჟუაზია მოკავშირეების წინაშე, როდესაც მან ძალა უფლება კომუნისტებს გადასცა. თუ უნგრეთში ამას რამე აზრი ჰქონდა, ოსმალეთის მმართველ წრეების მხრივ ასეთი ნაბიჯი სრულებით უნაყოფო იქნება. საბჭოთა რუსეთთან კავშირი ოსმალეთის მხრივ ნიშნავს ფაქტიურად რუსეთის ბატონობას ოსმალეთზედ, რადგანაც ეს კავშირი არ იქნება ბუნებრივი განვითარების და საერთო ხანგრძლივი პოლიტიკის, მიზნის ერთიანობის, შედეგი, არამედ ის იქნება გამოწვეული დროებითი და სრულიად შემთხვევითი მოვლენით.

ზოგიერთი სახელმწიფოები ოსმალეთს დაყოფას ემუქრებიან და ევროპიდან გარეკვას უპირებენ მუსულმანობას. საერთაშორისო სოციალისტების ბანაკში ამ კითხვის შესახებ არ იყო ერთსულოვანობა მსოფლიო ომის დაწყებამდისაც. პრესანსე, საფრანგეთის ცნობილი სოციალისტი და საერთაშორისო მდგომარეობის კარგად მცოდნე, მეტად უხეშოდ უყურებდა ოსმალეთს და მის დაშლას მოითხოვდა. ერთი ხანი იმ აზრის იყო, რომ კონსტანტინოპოლიდან გაედევნათ ოსმალები და ამ აზრს ის პრესაშიაც ქადაგებდა. საზოგადოდ ჟორესი მეტად ენერგიულად იცავდა ოსმალეთს. ბალკანეთის ომის დროს მისი სიმპატია უფრო ოსმალეთისკენ იყო. ჩვენ მაშინაც და ახლაც ვიზიარებთ ჟან ჟორესის აზრს: კონსტანტინოპოლი—ეს ხიდია ევროპისა და აზიას შორის, აღმოსავლეთ და დასავლეთ კულტურის შორის. ამ გზით შეუძლიან ოსმალეთს დაეწაფოს თანამედროვე კულტურას და გამოსჭედოს თავისი მომავალი ეკონომიურ პოლიტიკური მგლი. სტამბოლიდან ოსმალების განდევნა—ეს იქნებოდა დანაშაული მთელი ერის წინაშე და უდიდესი ანარქიის გამოწვევა მთელს მუსულმანობაში. კერძოდ ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ მეზობლად გვყავს კულტურული ერი და არა მუდამ მოხეტიალე და თავისი დაკარგული სიონის მაძებარი. მაგრამ ოსმალეთს მხოლოდ მაშინ ექნება უფლება ჩვენი თანაგრძნობა მოიპოვოს, თუ ის ერთხელ და სამუდამოთ ხელს აიღებს მის დამღუპველ ავანტიურულ პოლიტიკაზე, ხელს აიღებს ბავშურ ოცნებაზე, რომ შექნას სახელმწიფო კონსტანტინოპოლიდან ყაზანამდის და დაკმაყოფილდება იმით, რომ შერჩეს მისი ნაციონალური ტერიტორია. ამ ტერიტორიაზე მომავალი მშვიდობიანი ცხოვრებით და თანამედროვე კულტურის ელემენტებით ის დიდ ამაგს გაუწევს მთელი მუსულმანობის განვითარების საქმეს.

ბ. ოცვზაია.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი ესტონეთთან.

ინტერესს მოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველებისათვის ბაქოს [illegible] აზრი ესტონეთთან ზავის შესახებ.

გაზეთი სწერს:

„უდიდეს განცვიფრებისა, მწუხარებისა და სირცხვილის შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს ყველგან რუსეთში საბჭოთა მთავრობის მიერ ესტონეთთან დადებულ კომპრომისულმა ხელშეკრულებამ. საბჭოთა ოფიციალური წრეების გარდა რუსეთში არ მოიპოვება არც ერთი კლასი, პარტია, არც ერთი ჯგუფი, რომელმაც დიდის უფლებით არ დაიფასოს ეს რუსეთის მომავალ ბედისათვის სამარცხვინო აქტი. ბოლშევიკურმა „ნოვი მირ"-მაც კი ვერ ნახა სიტყვები ამ აქტის შესაქებლად. იწყებს რა იქიდან, რომ რუსეთ-ესტონეთის ხელშეკრულება „არის უდიდესი აქტი საერთაშორისო პოლიტიკაში", გაზეთი იძულებულია აღიაროს, რომ „ხელშეკრულება, შესაძლოა, მეტად მძიმეა", რომ „საბჭოთა რუსეთმა ბევრი დასთმო" და რომ „საბჭოთა მთავრობას შეეძლო ბევრი არ გაეკეთებინა იქიდან, რაც გააკეთა".

ბოლოს და ბოლოს თვით აქტიდანაც კი სჩანს, რომ იგი უმწვავესია რუსეთისათვის. ხელშეკრულებაში რუსეთის სახელით შენიშვნაა შეტანილი, რომ ეს აქტი არ შეიძლება პრეცედენტათ იქნეს გამოყენებული სხვა სახელმწიფოებთან ზავის შეკვრის დროს, რომლებიც ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენდენ. ამ შენიშვნას მესამე პირების შესახებ იქ, სადაც ხელშეკრულება იდება ორ სახელმწიფოს შორის, ცხადია, დეკლარატიული ხასიათი აქვს და მიზნათ ისახავს შეამსუბუქოს ის შთაბეჭდილება, რომელსაც ხელშეკრულება ახდენს რუსეთში და, შეიძლება, სხვაგანაც—რუსეთის დღევანდელ საზღვრების გარეთ".

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ხელშეკრულების მატერიალურ ღირებულების სავსებით შეფასება, ვინაიდან, შესაძლებელია, მასში ისეთივე ფარული მუხლები იყოს შეტანილი, როგორიც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში იყო და განაგრძობს:

„ერთი კი უეჭველია,—ის, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებიდან გამოსჭვივის ყველა ნიშნები ხელშეკრულებისა, რომელიც გამარჯვებულ ძალისა და დამარცხებულ რუსეთს შორის იკვრება. ტერიტორიისა და ამ ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ქონების დათმობა, 15 მილ. მანეთის მიცემა ოქროთი, განთავისუფლება ესტონიისა საერთო სახელმწიფოებრივ ვალის პასუხისმგებლობისაგან და ბოლოს ფართო სარკინიგზო და სატყეო კონცესიების მიცემა,—ყველა ეს დათმობა ყოველგვარ კომპენსაციის გარეშე მაჩვენებელია რუსეთის კაპიტულიაციისა, რომელიღაც ძალის წინაშე, რომელიც თავზე ახვევს რუსეთს დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ მნიშვნელობის პირობებს".

გაზეთს ასეთ ძალათ მიაჩნია ანტან-

დღეს

ლონდონში გაიხსნა ერთა ხაზვის ლიგის სხდომა. მონაწილეობენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, იტალია, ისპანია, ბრაზილია, იაპონია და საბერძნეთი.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელნი არ ესწრებიან არც ელჩების კონფერენციას, არც ერთა ლიგის ხაზვის სხდომებს.

ინგლისური პრესის ცნობით სილეზიაში ფრანგების და პოლონელების საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოხდა. საფრანგეთის ჯარის ოფიცრებს გერმანელებმა შეურაცყოფა მიაყენეს.

შლეზვიგის ოლქში დ ნიის სახარგებლოთ ხმა მისცა 60 ათასამდე კაცმა, გერმანიის სასარგებლოდ—30 ათასმა.

ბრიუსელში მივიდა რუსეთის კოოპერატივთა დელეგაცია.

ტა, ან კიდევ რომელიმე წევრი ამ კოალიციისა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების გარეგნულად იდილიურ ფორმაში, რომელიც ხალხთა თვითგამორკვევაზე ლაპარაკობს, — ჩაქსოვილია გამცემლობა რუსეთის ხალხისა „მუშათა და გლეხთა მთავრობის“ მიერ და დაასკვნის:

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარდა უზრდელ პოლიტიკურ ცინიზმისა ბოლშევიკებს ძალა დაატანა შინაური ჩიხში მომწყვდეულმა მდგომარეობამ და ჩაიდინეს ახალი პოლიტიკური ავანტიურა, რომლის შინაარსსაც რუსეთის ხალხი არასოდეს არავის აპატიებს“.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

13 თებერვალი

ფრანგული პრესის ცნობები.

გერმანელებმა დაამტკიცეს თავისი არაკეთილსინდისიერება; მათ დასთმეს მხოლოდ რეპრესიების შიშით და ლატვიების რიგაზე მოწოლის გამო, ისინი ჩვენ გვიწყობდნენ ყალბ ცნობებს და საფრანგეთის ოფიცრების მიმართ მიმართავენ დაშინებასა და მუქარას. მასალის მოტანა ნორმალურად გრძელდება მაგრამ მათთვის უმთავრესია, რომ სამხედრო პირობების ასრულებას გვერდი აუხვიონ. ისინი აცხადებენ: 10,000 კაცის საშუალებით ჩვენ არ შეგვიძლია შინაური წესრიგიც დავიცვათ და რუსულ ბოლშევიზმსაც ვებრძოლოთ. ამგვარად; სხვა და სხვა საბულოდებით გერმანიას 45 000 ჯარისკაცი ყავს პოლიციის სახით. გერმანიის მთავრობა ამტკიცებს, რომ გენერალი ნისელი საბჭოთა მთავრობასთან არის შეთანხმებული. გერმანელი ოფიცრები წითელ ჯარში იქნებოდნენ, რომ ამის ფულება წიეცეთ დიდი დაბრკოლებანი შეიქმნება გერმანელებისა და ბოლშევიკების შეთანხმებით. ანტანტა დაინტერესებულია იმ ერთა პოლიტიკით, რომელნიც ბოლშევიკებს გარს აკრავენ, მან უნდა აიძულებინა ისინი საერთო შეთანხმებაზე (ესტონეთი, პოლონეთი, ფინეთი).

მინისტრთა საბჭოში მიწათ მოქმედების მინისტრმა აღძრა საკითხი პურის შესახებ. საბჭომ დაადგინა 1920 წლის პურის მოსავალზე ყოველივე ნიხრი გაუქმოს.

მილერანს და ჯენერალ ნისელს საგარეო საქმეთა კომისიამ მოუსმინა. ჯენერალმა მოხსენება გააკეთა ბალტიის პროვინციაში თავისი მისიების შესახებ. მილერანმა ილაპარაკა ადრიატიკის საკითხზე და შემდეგ ბალკანეთში საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ.

ლონდონში მილერანს ლოიდ ჯორჯი შეხვდა. მილერანმა და ლოიდ ჯორჯმა რამდენიმე წუთს ისაუბრეს ფრანგულ ენაზე, შემდეგ მილერანი საფრანგეთის საელჩოში გამგზავრდა, სადაც მას ინტიმური სადილი გაუმართეს. მარშალი ფოში და მარშალი ლონდონის დოკ სასტუმროში გაჩერდნენ. პირველი სხდომა ხუთშაბათს დილით შედგება.

კოპენჰაგენიდან მოსულ ცნობით შლეზვიგის პირველ ზონაში მომხდარ პლებისციტს შემდეგი შედეგი მოჰყვა: 71.000 ხმა მიეცათ დანიელებს და 29.000 გერმანელებს.

ერთა ლიგის საბჭოს ოთხშაბათის შეკრება შეიკრიბა ლონდონის წმ. იაკობის სასახლეში. მისი მუშაობა რამდენიმე დღეს გასტანს. კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, იტალია, ისპანია, ბრაზილია, იაპონია და საბერძნეთი.

ლორდ ბერტის წინადადებით თავმჯდომარედ ბურჟუა აირჩიეს. თავმჯდომარის ადგილის დაკავების შემდეგ ბურჟუამ მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ ამერიკის წარმომადგენლები არ არიან. ჩვენ მარტო რჩება ფორმა ამ ხაზოლის გარეშე, მის მაგიერ რომ ცხრანი ვიყვეთ. ჩვენ კი ამ მეთოდით ვრთლობით დროის შეგვიძლია სასარგებლო საქმენი გავაკეთოთ და ზოგი წვენდებს ძლიერ ფასი მისწრაფებები გავუადვილოთ. ლეონ ბურჟუამ ინგლისის მთავრობას მადლობა გადაუხადა სტუმართმოყვარეობისათვის (გამოქვეყნებულია).

შეერთებული შტატების წარმომადგენლები არ არიან კონფერენციაზე და არც ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე, რომელსაც თავისი მთავრობისაგან არავითარი წვეწვა არ მიუღიათ.

ზემო სილეზიის საპლებისციტო კომისია გენერალ ლეგრანის თავმჯდომარეობით მშვიდობიანად მოვიდა ოპელნში 11 თებერვალს.

ბრიუსელში მოვიდა რუსეთის კოოპერატივთა დელეგაცია. ის სასურსათო მინისტრს ესაუბრა.

„დეილი-გეროლდი“ ლონდონში იუწყება, რომ კოლჩაკი სიკვდილით უნდა დაესაჯათო. ლორდ მილნერი დაბრუნდა ქაიროში სადაც ის კლემანსოს შეხვდება.

ზემო სილეზიაში დანიშნულმა მოკავშირეთა კომისიის თავმჯდომარე გენერალმა ლეგრონმა მცხოვრებთა მიმართ გამოსცა მოწოდება, რომლითაც მოკავშირეთა სახელით მცხოვრებთ აცნობა, რომ მან თავის თავზე მიიღო ამ ოლქის მმართველობა პლებისციტის მოხდენამდის.

„ტან“ შემდეგ უარყოფს ცნობებს: რომის გაზეთი—„ლიდეა ნაციონალე“-მ ოთხშაბათს საღამოს დაბეჭდა ცნობა, თითქოს საფრანგეთისა და სამხრეთ სლავიას შორის არსებობდეს რაიმე ფარული კავშირი ფიუმე იტალიის წინააღმდეგ მიმართული, თავის თავად ცხადია, რომ ეს ცნობა სიმართლეს სრულიად არ შეეფერება.

ინგლისური პრესის ცნობები

გლეივიცში, სილეზიაში ფრანგებისა და პოლონელების საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოხდა იმ დროს, როდესაც იქ საფრანგეთის ჯარი შევიდა. მრავალ ოფიცერს დაესხნენ თავს და ჯოხებით და კეტებით შეიარაღებულმა გერმანელებმა მათ შეურაცყოფა მიაყენეს.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. თებ. 12. სამხედრო ცნობა. თებ. 12. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ზეგორსკის რაიონში გამაგრებული პოზიციების ხელში ჩასაგდებათ ბრძოლა სწარმოებს. დენისლავსკ-პლესეცკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მტრის პოზიციები დაიჭირა. ნარვის რაიონში ჩვენს ხაზზე მტრის 100 ჯარისკაცი გადმოვიდა. პეტროლოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი აიღო. მოზირის და ჟიტომირის რაიონში ჩვენი მდგომარეობა არ შეცვლილა. ოდესის რაიონში ჩვენი ჯარი მტერს სდევნის, შეუახლოვდა ქ. ტირასპოლს. წინასწარი გამოანგარიშებით ოდესის რაიონში ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ 3 გენერალი, 200 ოფიცერამდე, 3000 ჯარისკაცი და ამას გარდა ზარბაზანი, 4 ჯავშნიანი მატარებელი, 4 ჯავშნიანი ავტომობილი.

ნახიჩევანი, 6 თებერ. ხანის ქარხანის მუშებმა მიტინგზე დაადგინეს დღიური ფასი გადიონ პეტროგრადისა და მოსკოვის მშიერთათვის პურის საყიდლად.

მოსკოვი, 13 თებერ. შრომის ფრონტზე „პრავდის“ მოწინავე რკინის გზის ტრანსპორტის აღდგენასთან ერთად ყურადღებას აქცევს წყლის ტრანსპორტის მოწესრიგებას. [illegible] ზოგიერთ ადგილას ყინვა მოიწყო ამას ყურადღება. ყველა იმათ, რომლებიც კი წყლის ტრანსპორტში მუშაობენ, ყოველივე ღონე უნდა იხმარონ, რომ გაზაფხულის დასაწყისში ჩვენი ძლიერი ფლოტი განახლებულ იქნეს.

ვლადიმირი. ნამქერის გამო რიაზან-ურალის რკინის გზა შეწყდა. გაიგზავნა მშრომელთა რაზმი და რამდენიმე დღის შემდეგ მატარებლების მიმოსვლა და [illegible] განახლდა.

მოსკოვი, 13 თებერვალი. პრესის მიმოხილვა. ლოიდ ჯორჯი თემთა პალატაში თავის სიტყვაში სთქვა, რომ რუსეთის ბოლშევიკებისაგან ძალით გადარჩენა შეუძლებელია, მისი გადარჩენა მხოლოდ ვაჭრობის განახლებით შეიძლებაო. „იზვესტიას“ მოწინავეში ნათქვამია: ეს განცხადება ძლიერ პირობითი ნიშანია მიზნისა და ამტკიცებს, რომ ფრონტის გახსნის მიზეზი სხვაგან არის. სამაგიეროდ, ლოიდ ჯორჯის განცხადების ერთსა ნაწილში, სადაც ამბობს ანტანტის რუსეთის დამორჩილებელი მისალმა ეჭირვებოთ როგორც ჩანს—თურქეთ—სპარსეთ ხაზიდან,—ლოიდ ჯორჯი არაფერზე არ ფიქრობს, გარდა ჩვენი გადარჩენისა. როგორი ქველი ხალხია ანტანტის იმპერიალისტები. ნამდვილად კი, მიზეზი, რომლებშიც აიძულეს ინგლისის იმპერიალისტები შეცვალონ თავისი დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთის მიმართ, უფრო პროზაული, უფრო საქმიანი ხასიათი აქვს. მართალია, ლოიდ ჯორჯი ამტკიცებს, რომ კომერცია ბოლშევიკების გაკეთილშობილებას ხელს შეუწყობს, მაგრამ ეს ყოველივე ფასიანია. საქმე იმაშია, რომ ევროპას ესაჭიროება ყოველივე ის, რაც აქვს რუსეთს, რუსეთის ნედლეულით ევროპას იმედი აქვს გამოკვების და რადგან ძალადატანებით ვერ გასჭრა, ევროპა პუბლიცისტი(?) სურს შეცვალოს რუსის ნედლი მასალის მიღების მეთოდი ანე, კომერციული გზით, უბრალო და ნათელია. ლოიდ ჯორჯი ხაზს უსვამს, რომ კომერციული დამოკიდებულების აღდგენა არ ნიშნავს ბოლშევიზმის აღიარებას, ჩვენ ამას არც ვსთხოვთ. ასეთს აღიარებას ჩვენ მოველით ხალხისაგან და არა მათი მთავრობისაგან.

ევროპის დამოკიდებულებამ კი აუცილებლად გამოიწვევს პოლიტიკური დამოკიდებულების გამორკვევას. ჩვენ საკმარისად ვიცოდით, მოვიცდით კი დიდ ხანს, ისტორია მუშაობს ჩვენთვის.

ლონდონი. 10 თებერვალი. სიცივის და შიმშილისაგან შეწუხებული სტამბოლი მოუთმენლად მოელის თავისი ბედის გადაწყვეტილებას. შესაძლებელია, რომ სტამბოლი საბერძნეთს გადაეცეს (?).

ბერლინი 12 თებერვალი. შლეზვიგის პირველი ზონის პლებისციტის შედეგი: დანიის სასარგებლოთ 60,000 კაცმა მისცა ხმა, გერმანიის სასარგებლოთ კი 30,000 კაცმა.

ლონდონი. 11 თებერვალი. საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა 1919 წლის მოსავალზე დაიცვას მტკიცე ფასები. მინისტრთა საბჭომ ხაზგასმით გამოსთქვა, რომ მოხდეს მაღალი ხორბლის რეკვიზიცია. მისი განაწილება და აგრეთვე რეკვიზიცია.

ლონდონი. 11 თებერვალი. დენიკინის მაგიერ სამხრეთ ანტიბოლშევიკურ ჯარის მთავარ სარდლად ინიშნება 30 წლის გენერალი ვრანგელი. დენიკინს არ სურს ძალა-უფლების დატოვება.

ლონდონი. 11 თებერვალი. ყაზახები და დენიკინი კიდევ განაგრძობენ დავას. ყაზახებს სურთ, რომ დენიკინი დარჩეს სამხედრო ძალების მთავარსარდლად, მაგრამ სამოქალაქო საქმეებში არ ჩაერიოს. დენიკინი ამას იღებს, როგორც უარს მის კანონიერ მოთხოვნილებების დამორჩილებაზე. და დაჟინებით მოითხოვს, რომ მას ყველა უფლება შერჩეს. მდგომარეობა თითქმის გამოუვალია. დავა გრძელდება. ბოლშევიკური კავალერია და ქვეითი ჯარი კი წინ მიიწევს. მეტალისტების ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა ქარხანაში გაგზავნა მოწოდება მუშაობის გაძლიერების შესახებ, განსაკუთრებით ტრანსპორტის საქმეზე მომუშავე ქარხნებში. გადაწყვეტილია მასიური აგიტაცია—ამბობენ მეტალისტები—შ 6 წამოაყენეთ შემდეგი ლოზუნგი: უნდა დამყარდეს სასტიკი დისციპლინა. ისარგებლეთ დეკრეტით დისციპლინარ. სასამართლოების შესახებ, შემოიღეთ სა[illegible] მეტარიფები“. პეტროგრადის საბჭოში ზინოვიევმა მშრომელთა არმიის შესახებ მოახსენა—ჩვენმა მშრომელმა არმიამ რამდენიმე წელს უნდა იარსებოს ჩვენ ამჟამად მარტო სოციალისტური აღმშენებლობის პირობები შევქმენით, ეხლა კი თვით აღმშენებლობას უნდა შევუდგეთ. აუცილებელია სამხედრო რკინის დისციპლინის შემოღება. პეტროგრადის მშრომელთა არმიამ დაამუშავა ტორფი იგი სადგურებს [illegible] სოფლებში ელექტრონის გაყვანას.

მოსკოვი, მთელი საექიმო ძალები მშრომელთა არმიაში უნდა გადავიყვანოთ, მშრომელთა არმიამ უნდა იბრძოლოს, შიმშილის, სიცივის და ტრანსპორტის დანგრევის წინააღმდეგ [illegible] ოპერაციებსა და ჯარის კაცებს და პოლიციის [illegible].

მთელი ქიმიური ქარხნის მუშებმა [illegible] გამოიცხადეს. [illegible] 200,000 კაცი. ამათ რიცხვში 60,000 კაცი [illegible] მოთავსდებიან. ელექტრონის უქონლობა, სათბობი მასალის უქონლობის გამო, [illegible] გადიჭრება. [illegible] უნდა გამოსცეს დეკრეტი, რომელიც ელექტრონის რაოდენობას შეამცირებს.

საბჭოთა რუსეთი და ადერბეიჯანი

ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი ნოტა გაუგზავნა მოსკოვის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჩიჩერინს:

„საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი თავის რადიო-დეპეშაში მოსკოვიდან 28 იანვრის თარიღით, წინადადებებს საერთაშორისო დამოკიდებულებების ჩამოყალიბებათ ამტკიცებს, რომ მინისტრ ხან-ხოისკის განცხადებები არ ეთანხმება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს და თავის მაგიერ ხან-ხოისკის განცხადების გასაწორებლად ჩიჩერინს მოჰყავს ფაქტები, რომელთაგან ზოგიერთს სრულებით არ აქვსთ ადგილი, ზოგიერთი კი არაა სწორად გაშუქებული, რაც იმას ამტკიცებს, რომ საბჭოთა მთავრობას არ აქვს სათანადო ინფორმაცია ადერბეიჯანის ამბების შესახებ. სთვლის რა თავის თავს ნეიტრალურად რუსეთში წარმოებულ ბრძოლაში, ადერბეიჯანის მთავრობამ გაიწვია ქალაქ ბაქოდან გენ. პრჟევალსკი მთელი შტაბით; იგი არა თუ ნებას არ აძლევდა არავის ადერბეიჯანში მოეწყოთ ჯარისკაცები „მოხალისეთა“ ჯარის სამეოცეებისათვის,—პირიქით, მან კატეგორიული უარი უთხრა გენ. პრჟევალსკის გაზეთებში განცხადების მოთავსებაზე, რომელიც რუს ოფიცრების გაწვევას შეეხებოდა ქ. პეტროვსკში. ადერბეიჯანის მთავრობას არა თუ არას დროს არ გადაუდგამს ნაბიჯი დაღესტანისა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა ინტერესების წინააღმდეგ იმ დროს, როდესაც იგინი ბრძოლას აწარმოებდნენ დენიკინთან თავიანთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, პირიქით, იგი ყოველთვის მისთვის ხელმისაწვდომ ყოველგვარ საშუალებებით ამ ბრძოლაში დახმარებას უწევდა და უწევს დღესაც მთიელებს და შეურყეველად ხელს [illegible] დენიკინის ძალების გარეკას მათი ტერიტორიიდან. ამგვარივე უსაფუძვლოა სახალხო კომისარის ჩიჩერინის მოსაზრებები ადერბეიჯანის მთავრობისა და „მოხალისეთა“ ჯარის სარდლობის შორის დამოკიდებულების შესახებ, იმ ჯარის, რომლის იდეოლოგია და ნამდვილი განზრახვები ადერბეიჯანის მთავრობამ კარგათ იცის.

ჩვენ [illegible] ჩვენის არსებობის ხანაში საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას შეუდგა ნაციონალური თვით გამორკვევის პრინციპით; მაგრამ ამასთანავე ადერბეიჯანის მთავრობას არ შეუძლია ღრმა მწუხარების გრძნობით არ აღნიშნოს, რომ სახალხო კომისარი ჩიჩერინი ის არც ერთ რადიო-დეპეშაში აშკარად და კატეგორიულად არ არის აღიარებული ადერბეიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა მაშინ, როდესაც საბჭოთა მთავრობამ უკვე სცნო პოლონეთი, ფინლიანდია და ესტონეთი; და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოებთან იგი შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებდა. ამიტომ, მიიჩნია რა საჭიროდ და აუცილებლად საბჭოთა რუსეთისა და ადერბეიჯანის ხალხებს შორის კეთილ-მეზობლური დამოკიდებულების დამყარება,— ადერბეიჯანის მთავრობა ფიქრობს, რომ მოლაპარაკება როგორც ამ საკითხზე, ისე სხვა საკითხების შესახებაც შეიძლება წარმოებული იქნეს მხოლოდ ამ საფუძველზე, თუ საბჭოთა მთავრობა აშკარად სცნობს ადერბეიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობასა და სუვერენობას“.

ადერბეიჯანის რესპუბლიკის საგ. საქ. მინისტრი ხან-ხოისკი

5 თებერვალი. 1920

ახალი ამბები

ფქვილი საქართველოსათვის. ამიერკავკასიაში არსებული იტალიის სამხედრო მისიის უფროსის თანაშემწის აღმასრულებელმა [illegible] საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო: ღრმად პატივცემულო ბ-ნო! ეს არის მივიღე საქართველოს მისიისაგან 8 თებერვლის თარიღით შემდეგი დეპეშა თქვენზე გადმოსაცემად: „6 თებერვალს [illegible] მისია, რომელსაც საქართველოსათვის მოაქვს ფქვილისა და სხვა საქონლის პირველი პარტია. ფოთში ჩამოვა დაახლოვებით 14 თებერვალს, გთხოვთ მიიღოთ განკარგულებანი, რომ მისი ფასი საპორტო ფოთში [illegible] და მისივე ბინა მომზადებული. [illegible]“.

პოლკ. [illegible] დეპეშის თანახმად, „[illegible]“-ს იქ მხოლოდ ფქვილს მოიტანს და იგი ის ვერ იქნება ფოთში 14 ან 15 თებერვალზე ადრე.

◆ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები და დენიკინი. გუშინ, 13 თებერვალს, საგარეო საქმეთა მინისტრმა, ამიერ-კავკასიაში მყოფ სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლის დენიკინის წარმომადგენლისაგან მიიღო ოფიციალური ცნობა, რომ გენერალმა დენიკინმა აღიარა საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის დეფაქტოდ არსებული მთავრობები.

◆ მონოპოლიის გამო. შინ. საქმ. სამინისტროს კანცელარიამ რესპუბლიკის ერობათა გამგეობებს და თბილისის, ქუთაისის და ფოთის მილიციის უფროსებს შემდეგი ცირკულიარული მიწერილობა გაუგზავნა: „თანახმად მომარაგების სამინისტროს მოთხოვნისა, გთხოვთ მიიღოთ განკარგულება, რათა აკრძალულ იქნას ქალაქებიდან ქალაქებში მატყლისა და თამბაქოს გაზიდვა მომარაგების სამინისტროს ნება დაურთველად ამ საგნებზე მონოპოლიის გამოცხადების გამო. სოფლებიდან ქალაქებში შემოზიდვა კი თავისუფალია“.

◆ სახელმწიფო ბანკი. სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ინიშნება ნ. [illegible], ამხანაგად ს. მდივანი, წევრებად: ცაგარელი, ფურცხვაშვილი, ქუჩინაძე და ლორთქიფანიძე.

◆ კანონ-პროექტის დაბრუნება. დამფუძნებელ კრების აგრარულ კომისიაში წარდგენილი იყო მიწათ მოქმედების მინისტრის კანონ-პროექტი რესპუბლიკის საძოვარ ადგილების იმ ნაწილების სახელმწიფო ფონდში გადასარიცხავად, რომელიც გამოსადეგია სახნავად. რადგან მცხოვრებთა ყურადღებაზე გამოირკვა, რომ საქართველოს საძოვარი ადგილები კიდევ გაფართოვებას საჭიროებს, ამიტომ მიწათ მოქმედების მინისტრმა უკან წაიღო ხსენებული კანონ პროექტი.

◆ მ. ი. ხომერიკის ლექცია. დღეს, საღამოს 5 ს. მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში ამხ. მ. ხომერიკი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „რუსეთის რევოლუცია“ (წარსული და მომავალი) შესვლა ყველასათვის უფასოა.

◆ მუშათა კლუბში. (პლეხანოვის ქ. № 123) 14 თებერვალს საღ. 7 ნახ. ს. ტრამვაის პროფ. კავშ. არსებულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება [illegible] ცნობილი სამ მოქმედებიანი კომედია. დაუკრავს საკუთარი სამხედრო ორკესტრი. წარმოდგენის შემდეგ დანიშნულია ტანცები გვიანობამდე.

◆ კულტურული მუშაობა სახალხო გვარდიაში. კვირას, 15 თებერვალს დილის 12 საათზე სახ. გვარდიელებისათვის სახელმწიფო თეატრში დადგმულ იქნება ქართ. ოპერა „ქეთო და კოტე“.

◆ სახალხო უნივერსიტეტში. დღეს შაბათს, ცენტრალურ განყოფილებაში წაიკითხავენ ლექციებს 1. შალამბერიძე—ქიმია, 2. კოტეტიშვილი—სოციოლოგია. ხვალ, დილის 11 საათზე, მოხდება უნივერსიტეტის სამეურ. გამგეობის და ლექტორთა კრება. კრებაზე მოხსენებას გააკეთებს გოლდბანი.

◆ სახელმწიფო თეატრში. დღეს მუშებისათვის „[illegible] და [illegible]“, კვირას დილით კლდიაშვილის [illegible], ორშაბათს, 16 თებერვალს „ქეთო და კოტე“.

◆ ბანქოს თამაშობისთვის. ამ დღეებში ქალაქის მოურავმა და შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწემ [illegible] თბილისის კლუბები, რომლის დროსაც აკრძალული ბანქოს თამაში აღმოაჩინეს [illegible] კლუბში და სანიტარულ და საოფიცრო კლუბებში. მოურავის განკარგულებით დაიკეტა 4 ხსენებული კლუბები და დაჯარიმდნენ ბანქოს თამაშობის მომწყობნი.

◆ ხელოსან-მასწავლებელთა კავშირის გამგეობა აცხადებს, რომ რადგანაც ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს ლიკვიდაცია კავშირთან არსებულ შრომის ბიუროსი და შემოწირულობა უნდა გადაეცეს ქალაქის შრომის ბიუროს, ამიტომ ის შემოწირულებები, რომლებიც 18 თ'დე არ გამოცხადდებიან რიგიდან ამოშლილ იქნებიან.

◆ შეცდომის გასწორება. „ერთობის“ № 34 ნომრის ფელეტონში, „გერმანიის კონსტიტუცია“, დაშვებულია კორექტურული შეცდომები: მე-100 მუხლში: შეიძლება კანონით დადგენილ [illegible] მთავრობას, მდინარეებზე ხიდების და სხ. უნდა იყოს: შეიძლება კანონით დადგენილ [illegible] მთავრობას, ვინც მდინარეებზე ხიდების და სხ. მე-109 მუხლში: ვერც ერთი გერმანელმა უცხოეთის მთავრობისაგან ხარისხიანი ორდენი არ უნდა მიიღოს, უნდა იყოს: ხარისხი ან ორდენი და სხ. მე-114 მუხლში: სად არის ძალის საშუალებით, უნდა იყოს: საჯარო ძალის საშუალებით;

კრებები

კვირას, 15 თებერვალს, დილის 10 ს. [illegible] აუდიტორიაში ([illegible]) დანიშნულია მე 6 რაიონის კოოპერატივის სკ. ს. დ. მ. პ. წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგი: მოხსენებანი მომენტზე—გააკეთებს ამხ. ლ. [illegible] მოხსენება კოოპერატივის გამგეობის, სარევიზიო კომისიის მოხსენება და მოლის მოხდება არჩევნები თბილისის კომიტეტის, სარევიზიო კომისიის და რაიონული კოლექტივის წევრებისა.

— დღეს, შაბათს, 14 თებერვალს, საღამოს 6 საათზე წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიის შენობაში დანიშნულია ზოგადი ქართველ მასწავლებელთა კავშირის სხვადასხვა წევრთა მორიგი სხდომა.

უცხოეთი

რუსეთი.

ბოლშევიზმი და აღმოსავლეთი. გაზ. „ტრიბუნ“-ში შემდეგი ცნობაა მოყვანილი: კასპიის ზღვის გადაღმა ოლქში ტაშკენტის რკინის გზით ბოლშევიკებს ახალ ახალი რაზმები გადაჰყავთ. ასხაბადში ბევრი [illegible] მებია. ნაწილები [illegible] საარმიო ოფიცრებია, რომლებიც შე რიგდენ ბოლშევიკებთან სამხედრო ბოლშევიკებმა მოხალისეებს დიდ ნავთობულობა წაართვეს, რამაც ხელ შეუწყო ტრანსპორტის საქმის გაუმჯო ბესებას. სასურსათო საქმეც უმჯობესდე ბა, რადგანაც ბოლშევიკებს ხელში ჩა ვარდათ შედარებით მდიდარი სემირე ჩენის ოლქი. ბოლშევიკები თავიან ნაწილებს თურქესტანში მყოფ ტყვე ბით ავსებენ; ტყვეების რიცხვი 37 ათ კაცს უდრის. ტაშკენტში ბოლშევიკებ დაარსეს საპროპაგანდო სკოლები, დაც აღმოსავლეთის ენებს ასწავლი აქედან ბოლშევიკებს განზრახვა აქ პროპაგანდისტები გაგზავნონ ინდოეთ ში და ყველა სამუსლიმანო ქვეყან ერთ-ერთ თავის სხდომაზე ტაშკენტ საბჭომ დაადგინა; უწინარეს ყოვლ პროპაგანდისტები გაგზავნოს ინდოეთ ში, სადაც მოეწყობა საპროპაგანდო ცენტრები. გაზეთი კომენტარიებს უ თებს ამ ცნობებს, აღნიშნავს იმ მნიშ ნელობას, რაც საქართველოსა და ადერ ბეიჯანის დამოუკიდებლობის აღიარებ მოჰყვება მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ში ბოლშევიზმი იკიდებს ფეხს სხვათა შორის წერს: მთელ ერთად ერთი ქალაქი ამიერ-კა კასიაში, სადაც ჯერ კიდევ სდგა ინგლისის ჯარი, საქართველოს ნა სადგურია შავ ზღვაზე. ბაქო—ადერბე ჯანის, კასპიის ზღვაზე... ლენინ ბო შევიკების მთავარი ბაზათ აღმოსავლეთ ში მუშაობისათვის იყო თურქესტა დენიკინის დამარცხებისა და კასპი ზღვის იქითა ოლქის დაპყრობის შემდე გაზეთი შიშს გამოსთქვამს, რომ ბო შევიკებს შეუძლიათ ეს მდგომარეობ თავიანთ ბოროტი მიზნებისათვის გ მოიყენონ.

სპარსეთი.

საქონლის გატანის გარშემო. რადგ ნაც მიმოსვლა კავკასიასთან შეწყვეტ ლია,—ბევრი საქონელი გაუტანელ რჩება ამიერ-კავკასიისაკენ, რაც დი ზარალს აძლევს სპარსეთის ეკონომიუ მდგომარეობას. ბევრი საქონელია თა რიზში, მაგ. ბამბა, მატყლი, ტყავი სხვ. რომელიც შეუძლებელია ხა გატანილი იქნეს თუ არ გაიხსნა ზღ თით გზა ჯულფა-ნახიჩევანი—ერევა ბათუმი. ამის გამო სპარსეთის მისი ამიერ კავკასიაში განკარგულება მიიღ რითა მოლაპარაკება გამართოს ამიე კავკასიის რესპუბლიკებთან ხსენებუ საკითხის მოსაწესრიგებლათ.

სპარსეთი და ოსმალეთი. მთე სპარსული პრესა დიდ ყურადღებას ა ცევს ოსმალეთის საკითხს, რომელი ახლო მომავალში უნდა გადაიჭრას მოითხოვს, დაცულ იქნეს ოსმალეთ ინტერესები. გაზ. „სადაი“, სხვათა შ რის, აღნიშნავს, რომ მთელ ქვეყნ მუსულმანთა სარწმუნოებრივი ცენტ უნდა იქნეს იმავე დროს ხალიფატ და ოსმალეთის ცენტრიც.

ოსმალეთი.

ადერბეიჯანის ცნობის გამო. უწი ლეს საბჭოს მიერ ადერბეიჯანის დამო უკიდებლობის აღიარების ამბავს ოს მალეთში დიდი აღფრთოვანება და ენ ტუზიაზმი გამოიწვია. კონსტანტინოპო ლის ყველა გაზეთებმა უძღვნეს ამ აქტ მოწინავე წერილები, სადაც თავიან სიხარულს გამოხატავენ და უსურვებე დამოუკიდებელ ადერბეიჯანს წინსვლ და აყვავებას.

მიმართვა ვილსონისადმი. კონსტანტინოპოლის ქალაქის თვითმმართველო ბამ პროტესტით მიმართა შეერთებულ შტატების პრეზიდენტს ვილსონს, რომ მელშიაც თავის აღშფოთებას გამოსთ ქვამს მოკავშირეთა იმ განზრახვის გა მო, რომლის თანახმადაც ოსმალეთმა უნდა დასტოვოს ევროპა და აგრეთვ კონსტანტინოპოლი.

ოსმალეთის საკითხის გარშემო. ოსმ ლეთის მთავრობამ მოკავშირე სახელ მწიფოთა წარმომადგენლებს მემორან დუმი ჩააბარა, რომელშიაც იგი ითხო ვს ლმობიერად მოეპყრონ ოსმალეთი ინტერესებს. „ანატოლიის უფლებათ დამცველ საზოგადოების“ ორგანო—გაზ „ხაკიმიეტ მილიე“ ეხება ამ მემორანდუმ და აღნიშნავს, რომ ოსმალეთის მთა ვრობა ერთგვარი დაჟინებით შედეგებ ვერ მიიღებს ასეთ მემორანდუმებით მისი ბედის საქმეთა გადაწყვეტა მ ქმედება, იარაღით ხელში გამოსვლა ოსმალეთის ინტერესების დაცვა იმ შ მთხვევაში, თუ კი მოკავშირენი ოსმა ლეთის და აღმოსავლეთის საკითხში სა წინააღმდეგო პოზიციას დაიჭერენ.

შუშანიკა ასათიანის ასულის ხსოვნას

ამ დღეებში, 16 თებერვალს, სრულ დება ერთი წლისთავი რაც ულმობელმ ხელმა გამოასალმა წუთი სოფელს და ამოჰგლიჯა ჩვენი წრიდან ჩვენი ამხანა გი შუშანიკა (სუსანა) ასათიანის ასულ

შუშანიკა ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს, როცა იგი სწავლობდა მესამე ქალთა გიმნაზიაში გაეცნო სოც.-დემოკრატ. მოძრაობას და მარქსისტულ მიმდინარეობას და მიემხრო მას. ეს ის დრო იყო, როცა პირველი რევოლუცია ჩაქრობილი იყო, მაგრამ ორგანიზაციული პარტიული, პროფესიონალური, მეგობრების მოქმედებდნენ. ერთ-ერთ ამ მეგობრების ორგანიზაციაში, რომელიც მარქსისტებს ეხმარებოდა, მუშაობდა და თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ქალებ შორის შუშანიკას. გიმნაზიის გათავების შემდეგ შუშანიკას არ გაუწყვეტია კავშირი ჩვენ ამხანაგებთან და ხალხთან და მუშაობდა ხან საკვირაო სკოლაში, ხან სახალხო უნივერსიტეტში, ხან არჩევნების მომწყობ ორგანიზაციაში (დეპუტატების არჩევნების დროს) იმავე დროს შეძლების დაგვარად ის სწავლობდა კურსებზე და ემზადებოდა მეცნიერებისა და მოღვაწეობისთვის ან, როცა უსახსრობის გამო ვერ ახერხებდა რუსეთში კურსებზე წასვლას, ასრულებდა მასწავლებლის მოვალეობას ქალაქის სკოლებში. ამ რევოლუციის მოხდენის შემდეგ შუშანიკა გამოეშურა სამშობლოსკენ და ჩაება როგორც პარტიულ მუშაობაში ისე თავის საყვარელ პედაგოგიურ მუშაობაში, სადაც აგრეთვე ერთ სერიოზულ და თავდადებულ მუშაკად ითვლებოდა, რაც დადასტურებულია ამისთანა მცოდნე პირების მიერ, როგორიც მაგ. გამგეობის წევრი კოჩიევი, ხმოსანი გოთუა, ხუნდაძე და სხ. ჰყავდა რა საყვარელ საქართველოს ალორძინების საწყალი შუშანიკა ბალიშიანათ სხვებთან ერთად გატაცებით იღებდა მონაწილეობას მის მუშაობაში, მაგრამ იგი ამ დროს მოსტაცეს ამ მუშაობას. ვისაც კი ჰქონდა შემთხვევა ახლო გაეცნო ეს ნაზი და ნიჭიერი ადამიანის ნაზი სულის და გულის პატრონი პიროვნება არ აღმოფხვრის მეხსიერებიდან მის ნათელ ხსოვნას. დიდ გულდამწყვეტ მოხუც მშობლებს და დებს დარჩეს ნუგეშად ის, რომ შუშანიკა ცხოვრობდა, როგორც ნამდვილი ადამიანი და რომ მისი ხსოვნა კიდევ გამამხნევებელი იქნება სხვებისთვის.

ამხანაგი.

ამხ. ა. ჩხენკელის მოხსენება რკ.-გზ. კლუბში

6 თებერვალს, რკინ. ცენტრ. გამგეობის ინიციატივით, მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში შესდგა რკინის გზელთა მრავალ რიცხოვანი კრება. დღის წესრიგში იყო: ევროპიდან ახლად დაბრუნებულ ამხ. აკაკი ჩხენკელის მოხსენება. 7 ნახევარი საათი იქნებოდა, როცა დარბაზში შემოვიდა მომხსენებელი, რომელსაც კრებამ ფეხზე ადგომით ტაშით შეეგება.

ამხანაგებო, დაიწყო მომხსენებელმა, ევროპიდან დაბრუნების შემდეგ მომიხდება მუშების წინაშე მოხსენების გაკეთება, იმ მუშების წინაშე, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით რევოლუციის წინაშე. თქვენ დაამტკიცეთ, თუ როგორი უნდა იქცეოდეს მუშათა კლასი რევოლუციის და სახელმწიფოს აღმშენებლობის დროს. თქვენ მუდამ განსაცდელის დროს შესცვლით მუშაობას და მოქმედებას. თქვენ დაამტკიცეთ, რომ ერთი ორი მომენტი: სოციალური და ნაციონალური—ანუ ხაზი ემთხვევა ერთმანეთს. და, თუ ჩვენ რაიმეს მივაღწიეთ იქ, ევროპაში, ეს არის ნაყოფი ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს მუშათა კლასის ხალხის და ხაზრიანი მოქმედებისა. ჩვენ არასოდეს არ ვფიქრობდით, რომ დიპლომატიის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს სახელმწიფოს საკითხების გადაწყვეტაში. სახელმწიფოს ბედი მუდამ მის ფაქტიურ, რეალურ მდგომარეობაზე ჰკიდია და თქვენ მიერ შექმნილმა შინაურმა და გარეშე სიტუაციამ, ს. ქ. რესპ. მიიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდე.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რა მდგომარეობაში იყო ჩვენი ქვეყანა იმ დროს, როცა მე ჩვენი თანამშრომლებით ევროპაში გავემგზავრე. ხალხი, რომელიც უდიდეს სოციალურ მოთხოვნილებებს აყენებდა ყოველთვის, იძულებული გახდა დაევიწყებინა ყველაფერი და საკუთარ ფიზიკურ არსებობაზე ეზრუნა. როცა მე ტრაპიზონიდან დავბრუნდით, დადგა საკითხი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აღიარებისა. ამან დიდი დავა გამოიწვია ჩვენ პარტიულ წრეებში. შეიქნა ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენ თითქმის გარკვეულ ფიზიკური არსებობისათვის, რადგან დაცული გვქონდა ფიზიკურად. რა თქმა უნდა, ეს არ იყო მოულოდნელი შემთხვევა, არამედ ეს იყო წმინდა, ინტიმური ნაციონალური აზრი ჩვენი იქცეოდა იყო ისეთი პირობები, რომ ოსმალეთი ერთ მხარეს უპირატესობით ეპყრობა, ნაცრა-ფეხით თავისუფლად დასახლდნენ აზერბაიჯანში, მაგრამ ბოლშევიკების ხელში იყო, სომხეთი თითქმის მთლიანად დაპყრობილი იყო, საქართველოს კი მოკვეთილი ჰქონდა მისი თვალი და კარები ბათუმი. ასეთი იყო მდგომარეობა, როცა მე საქართველო დავტოვე და ევროპაში გავემგზავრე.

დაბრუნებისას მე გავიგე ერთი ყალბი აზრი, რომელიც ფართოთ გავრცელებულია საზოგადოებაში. თითქოს ჩვენი აქ დიდ წასვლა იყო მიზეზი გერმანიის ჩვენ საქმეში ჩარევის, რომლითაც მან ჩვენ გადაგვარჩინა. გრაფმა ბერნსდორფმა, ყოფილმა ელჩმა გერმანიისა ამერიკაში და ომის შემდეგ სტამბოლში, მე პირადად მითხრა ერთხელ ბერლინში, რომ იმ დროს, როცა გერმანიას ირგვლივ მტრები ჰყავდა, ოსმალეთს ამ საქართველოსაც ვერ გაუწევდა დახმარებას, რაც უნდა სურვილი ჰქონოდა ამისა. ოსმალეთი რეალურად უფრო დიდ ღირებულებას წარმოადგენდა მისთვის, ვინემ მაშინდელი საქართველო. ამიტომ იყო, რომ ოსმალეთის დელეგაცია ტრაპიზონში გველაპარაკებოდა და მისი ლაშქარი კი ბერნსდორფის დუმილით სტამბოლში ჩვენს ქალაქებს და სოფლებს ხელ-ხელ იღებდა.

ბათუმში ჩვენი მიზანი იყო ორი მოკავშირე ძალის,—გერმანიისა და ოსმალეთის გათიშვა, მათი ინტერესების ჩვენ საკითხის გარშემო დაპირისპირება. მე ვაგონებდი გერმანიის დელეგაციას ბათუმში, რომ ოსმალეთის მიერ აქ ქრისტიანების აწიოკება, თქვენი წინადადების გაუწყვეტლობით, დიდ მორალურ ზიანს მიაყენებს გერმანიას. ეს იქნება მეორე ბელგიის ტრაგედია. საქართველოს საკითხი ახლაში იქნებოდა ის, რაც ბელგიის საკითხი ევროპაში. ბელგიის საკითხი, ისეთი სამარცხვინო ლაქა აღმოჩნდა მართლაც გერმანიისათვის, რომ მან გადაამტყუნა მთელი მსოფლიოს თვალში არა მარტო გერმანიის მილიტარისტებს, არამედ გერმანიის დემოკრატიასაც.

ამის მიუხედავად, როცა ოსმალეთის ჯარი ალექსანდროპოლში გადმოვიდა, მან ბათუმიდან დეპეშით საქართველოსკენ გამოემართა, ხოლო ამის საქართველო სრულიად არ იყო. ეს იყო მეორე ხაფანგი, რომელსაც მიაწყდა გერმანიის დელეგაცია.

ასეთ შემთხვევებმა გამოიწვია გერმანიის დელეგაციის დაბრუნება ბათუმიდან.

როცა ამის შემდეგ ჩვენ ევროპაში გავემგზავრეთ, ჩვენ დავადექით ერთი გარკვეულ გზას. ეს გზა იყო გერმანიის დემოკრატიასთან და მის წარმომადგენლებთან ჩვენი მჭიდრო დაკავშირება. იძულებული ვიყავით გვეკითხათ, რომ გერმანიის მთავრობა აფერხებდა ოსმალეთის საქართველოში შემოსვლას, მაგრამ ჩვენ გვჯეროდა და ეს კიდეც გამართლდა, რომ გერმანიის დემოკრატიის დახმარება აიძულებდა მის მთავრობას, ჩვენ სასარგებლო ნაბიჯის გადადგმას. უნდა ითქვას, რომ გერმანიის სოც.-დემოკრატიამ, რომელიც მაშინ არ ხანაკად იყო გაყოფილი (შეიდემანელებად და დამოუკიდებლებად) დიდი დახმარება აღმოგვიჩინა. დამოუკიდებელთა ლიდერი იყო ჰაზე, რომლის ხსენების დროს გავიხსენოთ ფეხზე ადგომით მისი ხსოვნა (კრება ფეხზე დგება), შეიდემანელებთა კი შაიდემანი და ახლანდელი პრეზიდენტი გერმანიისა ებერტი.

ჩვენ გვქონდა შემთხვევა თავის შეხვედრა ამ პარტიათა ლიდერებისთვის ჩვენ საკითხის შესახებ. იქ საბოლოოთ შევიმუშავეთ აზრი, რომ გერმანია არ ჩარეულიყო ჩვენ შინაურ საქმეში და ოსმალეთს ხელი აეღო ჩვენის შემოსევაზე. ორივე პარტია ენერგიულად შეეკიდა ჩვენს საკითხს და შესაძლებლობის მიხედვით მუშაობდნენ ამ მხრივ.

ჰაზეს სიტყვამ, რომელიც ერთი საათი გრძელდებოდა რეიხსტაგში, დიდი გავლენა მოახდინა მაშინდელ გერმანიის მთავრობის წრეებში. ეს სიტყვა, რომელიც ჩვენ შევადგინეთ, ერთად შევიმუშავეთ მე და ჰაზემ წინა დღით. ამ სიტყვის შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა ჩვენდამი მოპყრობა გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროში.

რეიხსტაგში ხშირად ხდებოდა გამოსვლები ჩვენ შესახებ, რომლებშიაც ყურადღება ექცეოდა ორ საკითხს ჩვენი მხარისა პოლიტიკურს და ეკონომიურს.

ბოლო ხანებში ობიექტური პირობებიც ჩვენს სასარგებლოთ მიეწყვნენ. გერმანიის მთავრობა, სპეციალისტები კარგათ გრძნობდნენ, რომ ომი წაგებული იყო, თუმცა გერმანიის ხალხმა ეს არ იცოდა. აღმოჩნდა, რომ ტერიტორიალად და ფინანსიალად ძლიერია მოწინააღმდეგე კოალიცია მეტად, ვინემ გერმანია. ასეთმა მდგომარეობამ შესცვალა ფერი მათ პოლიტიკას. რეიხსტაგი დღითი დღე ძლიერდებოდა და მთავრობა კი სუსტდებოდა. იზრდებოდა ძალა დემოკრატიისა, განსაკუთრებით კი ს. დემოკრატიისა. ამან გამოიწვია გერმანიის მთავრობის მხრივ დაძალება ოსმალეთზე, რომ მას ხელი აეღო ბარბაროსულ პოლიტიკაზე... საქართველოს დელეგაციამ სომხეთის საკითხშიაც დიდი როლი ითამაშა. ეს აიხსნება იმით, რომ სომხეთის დემოკრატია დაშნაკცუტიუნის სახით, რომელსაც ევროპაში ნაკლებათ იცნობდნენ, ვერ დაუკავშირდებოდა გერმანიის დემოკრატიას. ჩვენი მოქმედების ნაყოფია სხვათა შორის ის, რომ ოსმალეთმა გადაწყვეტილება სომხების ამოჟლეტის შესახებ სისრულეში ვერ მოიყვანა იმიტომ, რომ ტფილისში გერმანიის წარმომადგენელი იყო. ეს ფაქტი საუკეთესო გარანტია იყო სომხეთის ხალხის ხელშეუხებლობისა.

გერმანიის დამარცხების შემდეგ ანტანტამ ჩვენ უნდობლობის თვალით დაგვიწყო ცქერა. ჩვენ გერმანიის მოკავშირეთ გვთვლიდნენ, იმიტომ რომ ჩვენ გერმანიასთან მოლაპარაკებას ვაწარმოებდით, ამან დიდათ დააბრკოლა ჩვენი მუშაობა. ამავე დროს სომხეთის საკითხი სხვანაირად იდგა. ეს, რა თქმა უნდა სომხის ნაციონალისტების ურცხვ აგიტაციის ბრალი იყო. ჩვენ დავმარცხდით ოსმალეთთან ბრძოლაში, ამის შემდეგ სხვა გზა არ გვქონდა, თუ არ მოლაპარაკების დაწყება. ასე იქცევა ყველა სახელმწიფო, აგრე იზამდა ჩვენს მდგომარეობაში ანტანტაც. გერმანია თვით მოვიდა ჩვენთან და არა ჩვენ. მიუხედავად ამისა ანტანტა ჩვენ მაინც მტრულათ გვეპყრობოდა. მას დაავიწყდა ის მსხვერპლი, რომელიც ქართველმა ხალხმა გაიღო ამ მსოფლიო ომის დროს. როცა მე ვიყავი სათათბიროს სამხედრო საზღვაო კომისიაში, ხშირად მესმოდა გამოცდილ სამხედრო პირებიდან, მოგვეცით ფრონტზე ხუთი ქართველი დივიზია რომ ფრონტი იფარონო. მერე კი კორპუსი, რომელმაც შეინარჩუნა ფრონტი და პოლონეთის საზღვრები, ქართველებისაგან შესდგებოდა. ეს კორპუსი თითქმის გაწყდა მთლიანად ბრძოლაში.

ანტანტის ჩვენდამი არაკეთილ განწყობილებას ხელს უწყობდა აგრეთვე რუსეთის ოფიციალური და არა ოფიციალური ელემენტები ევროპაში. ძველი რუსეთის და დიდი მთავრობის წარმომადგენლობის გამოჩენილი ბევრი დარჩა ევროპაში, რომელიც სავსებით ჩვენს წინააღმდეგ ამუშავდა. საქართველო იმათ ენაზე ეძახდნენ, რადგან მისი დელეგაცია რუსეთის რევოლუციის მეშვეობით შექმნილიყო. მათ იცოდნენ, რომ არსად ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე არ იყო ისეთი ძლიერი დემოკრატია, როგორც საქართველოში.

ჩვენს წინააღმდეგ მუშაობდნენ სოციალისტებიც კი. მათ საუბრით დაიწყეს დიდი უგრძნობის მაჩვენებელი ყოველივე სოც. პარტიისა ერთი თვის მოქმედებას ამბარებზე, ამით ისინი აიძულებდნენ და აცემდნენ ევროპის დემოკრატიის თვალში რუსეთის დემოკრატიისას. თავის ასეთი ქცევით ჩვენმა მტრებმა ფართო სამსახური გაგვიწიეს, მათ საქართველო, რომლის შესახებ ნაკლები წარმოდგენა ჰქონდა დასავლეთ ევროპას, ხოლო სხვანი გაბედვა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრეს. დღემდე ევროპაში იცოდნენ მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე კავკასიის არსებობა და აგრეთვე აქ-იქ ბათუმის შესახებ, როგორც პორტისა.

ჩვენ მოქმედებას ჩვენ ძველი გზით განვაგრძობდით გერმანიის დამარცხების შემდეგაც. ინტერნაციონალს ბერნში ჩვენ ორი მოთხოვნით წარვუდექით: ეცნო საქ. ს. დ. პარტია სრულუფლებიან წევრად ინტერნაციონალისა და ეცნო ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. მე საკმაო მასალა მქონდა ამის შესახებ და ვრცელი მოხსენება გავაკეთე ინტერნაც. იქ აღმოჩნდა ჩვენი ძველი მეგობარი რუსეთიდან მოხუცი პავლე აქსელროდი, რომელიც მუდამ თავს ს. ს.-დ. მუდმივ წარმომადგენლად უწოდებს და ძველი რევოლუციონერი რუსანოვი. იქ დიდი თანაგრძნობით შეგვხვდნენ. ამის შემდეგ საკითხი ჩვენს შესახებ იდგა ამსტერდამის სოც. კონფერენციაზე და ლუცერნში. სადაც დაადგინეს დაევალოს ყველა პარტიებს გადადგან თავიანთ ქვეყნებში სათანადო ნაბიჯები ჩვენ დამოუკიდ. სასარგებლოთ. ამნაირად ჩვენი მუშაობა გარედაც და შიგნით შეთანხმებული იყო. როგორც აქ, ჩვენ ევროპაშიც დემოკრატიულ პოლიტიკას ვაწარმოებდით.

ამით ჩვენ ინტერნ. წინაშე დიდი თანაგრძნობა და სიმპათია დავიმსახურეთ, ის დამტკიცდა, რომ საქ. ს.-დ. რაც იყო ომამდე, ის არის დღესაც, რომ მისი პოლიტიკა სწორი და წინდახედულია. და რადგან ინტერნაციონალს დიდი ორგანო, დიდი მნიშვნელობა აქვს მაინც უმაღლესი სახელმწიფოთა ოფიციალურ მმართველთათვის, ამიტომ ინტერნ. ასეთმა დახმარებამ დიდი გავლენა იქონია ჩვენს დამოუკიდებლობის აღიარებაზე.

ჩვენი დემოკრატიის სახელით და სასიქადულოთ, მე უნდა განვაცხადო, რომ საქართველო მთელი ამ რუსეთის სამოქალაქო ომის პერიოდში, არასოდეს არ გამხდარა იარაღი გარეშე ძალის ხელში რუსეთის რეაქციის დასახმარებლათ. მიუხედავად აუწერელ პირობებისა, რომელიც მან ამ მცირე ხანში განიცადა, საქართველომ პრინციპულად შეასრულა ინტერნაციონალური მისწრაფება. საქართველოს დემოკრატიამ ინტერნაციონალური მოვალეობით მიაღწია ნაციონალურ გამარჯვებას.

თუ სოციალიზმის განხორციელებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, ეს უნდა მომხდარიყო გერმანიის რევოლუციის დროს, გერმანიაში. ასეთი ცდები თითქოს იყოს გერმანიაში. მაგრამ გერმანიის დემოკრატიამ იგრძნო გარეშე საფრთხის საშიშროება და განამტკიცა მდგომარეობა მით, რომ ერი განადგურებას გადაარჩინა. იქ შედუღდა ნაციონალური და სოციალური მომენტი და ქვეყანას კრიზისი აცდა. ამით განსხვავდება რუსეთის რევოლუცია გერმანიისაგან.

გერმანიაში რევოლუციის შემდეგ, ჩვენ წინ დადგა საკითხი, რამდენათ სწორია ჩვენი და ბოლშევიკების პოლიტიკა. გერმანიის ბრძოლაში ნაცვლად პროლეტარიატს უნდა ეკისრა მედიატორის როლი. და ჩვენ გამართლებული გამოვედით. ის მდგომარეობა, რომელიც დაიჭირა თვით გერმანიის დემოკრატიამ საკუთარ მხარეში ამ კითხვის სრული პასუხი არის.

შემთხვევამ, ბედნიერმა შემთხვევამ მოიტანა ის, რომ პატარა საქართველო ერთი წლის წინედ ადგა იმ გზას, რომელსაც ირჩევს გერმანიის დემოკრატია. ამის მიზეზი აგრეთვე არის ჩვენი მრავალწლიური მუშაობა დემოკრატიულ ნიადაგზე. ბერნშტეინი, მაგალითად, ისეთ წარმოდგენისაა ქართველ მუშებზე, რომ, როცა მას პარლამენტში მოწინააღმდეგენი ბოლშევიზმით ხელს უშლიდენ, ხშირად ასე უპასუხებდა: „მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მუშებმა ნემეცური არ იციან, ისინი რომ იმსმენდნენ ჩემს სიტყვას, თქვენზე ბევრად დინჯათ იქნებიანო“. ამით ის ამბობდა, რომ ქართველი მუშები არიან არა მარტო მუშები, არამედ საუკეთესო მოქალაქენიც.

თუ ჩვენ საკუთარი ისტორიის გადავხედავთ თვალს, დავინახავთ, რომ ჩვენი წინაპრები მუდამ ევროპისაკენ მიისწრაფოდენ. და ეხლა, როცა ჩვენ დავამყარეთ დემოკრ. წეს-წყობილება და შევქმენით დამოუკიდებელი საქართველო, მივდივართ იმავე გზით, ჩვენ გვაქვს პირდაპირი კავშირი ევროპასთან.

საკითხი ეხლა იმაშია, რამდენად შეუძლია ეკონომიურად არსებობა საქართველოს. სხვასაც თავი რომ დავანებოთ, საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა ისეთია, რომ ეს საკმარისია ჩვენი ამ მხრივ უზრუნველსაყოფად. მაგრამ ჩვენ ხომ მდიდარი ვართ ნედლი მასალით. ჩვენ ხომ გვაქვს გასავალი ზღვით, რომლის საშუალებით მთელ მსოფლიოსთან შეგვიძლია კავშირის დაჭერა.

ჩვენში იყო არა რუსეთის სუსტი კაპიტალის ბატონობა, არამედ სამხედრო ბატონობა. არც ბათუმის მხარის სპილენძის მადნები, არც ჭიათურა, არც ბაქო და სხვ. არ ყოფილა რუსეთის კაპიტალის ხელში.

და მაშინ, როცა შვეიცარია, ბელგია და სხვა მცირე ასეთი დამოუკიდებელნი სახელმწიფონი, რომლებიც გაცილებით უარეს პირობებში არიან, ვინემ ჩვენ, ბუნებრივ სიმდიდრის მხრივ, არსებობენ, რატომ ვერ იარსებებს ეკონომიურად საქართველოც. საჭიროა მხოლოდ ენერგიული მუშაობა, ყოველივე დარგში. საჭიროა მთელი ერის ძალების ამოძრავება და მე დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე წლებში საქართველო სიამაყით ამოუდგება მოწინავე ცივილიზაციით ევროპას, (ტაში და ოვაცია).

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რის შემდეგ კრებამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია *).

ნიაგი.

თემების წარმომადგენელთა ყრილობა

(დასასრული).

თელავის მაზრა გ. კულუხოვი აღნიშნავს, რომ თემების უფლებრივი მდგომარეობა სრულიად გაურკვეველია. დაარსების დროს თემებმა მიიღეს ისეთი უმნიშვნელო თანხა, როგორიც არის 2500 მან. ავანსად და მეორე 2500 მან. სესხის სახით. ამიტომ თემი იძულებული იყო შემოეღო ერთდროული გადასახადი მაგარი სასმელით მოვაჭრე დაწესებულებებზე და აგრეთვე მიემართა სასურსათო ოპერაციებისათვის. სასურსათო ოპერაციის წარმოებაში თემს ხელი შეუშალა სამაზრო ერობამ მხრით ცუდი ხარისხის სურსათის მოწოდებამ და ისიც ხშირად მეტად ძვირ ფასებში. ზოგიერთი საქონელი ამიტომ გაუსაღებელი აწყვია თემის საწყობებში. ფინანსიური კრიზისი ისეთი დიდი იყო, რომ თემები ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ, ასე წარმოიდგინეთ, რომ სპექტაკლებიც მოაწყვეს თემის გამგეობის წევრთა მონაწილეობით. ასეთი საშუალებით მიღებული ფულებით დამატებით ჯამაგირს აძლევდა თემი მილიციას. თემის დამოკიდებულება სამაზრო ერობასთან გამოურკვეველია. სამაზრო ერობა რაღაც მაღალ ინსტანციათ გადაიქცა ერთის მხრით თემსა და მეორეს მხრით მთავრობის და ერობათა კავშირის შორის.

მეორე წარმომადგენელი თელავის მაზრისა თაბუკაშვილი აღნიშნავს, რომ თემის და სარაიონო მილიციის უფროსის შორის არაა ნორმალური დამოკიდებულება. სარაიონო მილიციის უფროსი ხშირად ერევა თემის საქმეში. არ არის გამორკვეული აგრეთვე მომრიგებელ მოსამართლეებთან დამოკიდებულების საკითხი. ისინი ხშირად ერევიან თემის და მის გამგეობის განკარგულებებში.

შეკითხვებიდან გამოირკვა, რომ თემის უფრო წვრილ ერთეულებათ დაყოფის ტენდენცია მაზრაში არ არის. თელავის თემების წარმომადგენლებმა ყრილობას გამოიტანა დადგენილება, რომელიც ასეთი დაქუცმაცების წინააღმდეგ ლაპარაკობს. თემს აქვს თავისი ბიუჯეტი აღრიცხვა, რომელსაც ის ცნობისათვის უგზავნის სამაზრო ერობას. სამაზრო ერობა ძალიან ნაკლებ დახმარებას უწევდა თემს მისი სამოქმედო კომპეტენციის გამორკვევაში.

ქუთაისის მაზრა. მომხსენებელი მეხრიკაძე ამბობს: თემი მოწყობილია ძველ საზოგადოების ფარგლებში. პირველათ მოეწყო ოცდა თერთმეტი თემი. შემდეგ მათი რიცხვი გადიდდა. თემის და სამაზრო ერობის ურთიერთობა კარგია. კონფლიქტებს ადგილი არა აქვს. ქუთაისის მაზრა თემების მუშაობის მხრივ სამ რაიონათ შეიძლება გაიყოს: პირველ რაიონში, დიდი ხანია, რაც მუშაობა სწარმოებს და საქმეც კარგათ არის დაყენებული, მეორე რაიონში სამი თვეა, რაც თემი არსებობს, მესამე რაიონში კი, ოკრიბა-ხიმორეთში ძლივს და ეწყობა ახლა. სამაზრო ერობა და თემი შეთანხმებით ადმინისტრაციის საკითხის თემისადმი დამოკიდებულების საქმეში სასკოლო საქმე წინანდელთან შედარებით უკეთესს მდგომარეობაშია. ბევრ ადგილას თემების ინიციატივით გაიხსნა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლები. შეძლებისდაგვარად გზებს ვაკეთებთ, თემი იძულებულია ხანდახან სასამართლოს საქმეებში ჩაერიოს, რადგანაც უკანასკნელი ჯერ ჯერობით მოუწყობელია. სასამართლო დახმარებაში ხალხისთვის თემს უარის თქმა არ შეეძლო, ამით ის მხოლოდ სახელს გაიტეხდა და ნდობას დაკარგავდა.

აგრონომიული დახმარება სუსტი იყო, რადგანაც საკმაო რიცხვი აგრონომებისა არ მოგვეპოვებოდა. იანვრის ბოლო რიცხვებში მოწვეულ იქნა სამაზრო ერობის ინიციატივით თემების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც მრავალი საჭირბოროტო საკითხები გაარჩია. თემის უფლებრივმა მდგომარეობამ მწვავე კამათი გამოიწვია ყრილობაზე. იქ სამი მიმდინარეობა დაიხატა ამ საკითხის შესახებ. ერთი მოითხოვდა თემის უფლებების გაფართოებას, მეორე არსებული მდგომარეობის დატოვებას, მესამე კი არსებული უფლებების შემცირებას, ხოლო სახელმწიფო უფლებების დატოვებას.

თემს სოფელთან აკავშირებენ ხმოსნები. ყოველ სოფელში არის სასოფლო კომისია, რომელიც თემის გამგეობისაგან არის დანიშნული, ეს თანამდებობა უფასოა.

თავდაპირველად თემს სახსარი არ ჰქონდა გარდა იმ სამი ათასი მანეთისა, რომელიც მას მიეცა ავანსათ სამაზრო ერობიდან. შემდეგ ზოგიერთმა თემებმა შემოიღეს სამაზრო ვაჭრობის გადასახადი და სხვ. სანიტარული გადასახადის აკრეფის შემდეგ სამაზრო ერობამ მიუშველა თემებს და თემის გამგეობა ჯამაგირით დააკმაყოფილა. თემი მეტად ღარიბია, განსაკუთრებით სასკოლო საქმეებისათვის. ხალხი ამ გადასახადს იხდიდა და არავითარ გამწვავებას საქმისას ადგილი არ ჰქონია. რაიონული მილიციის უფროსის თანამდებობის არსებობა ყველა თემებს არ მიაჩნიათ საჭიროთ. თემების ყრილობაზე გამოტანილ იქნა დადგენილება რაიონული მილიციის უფროსის ინსტიტუტის გაუქმებისა.

თათბირმა შემდეგ იქონია მსჯელობა სათემო დებულების ძირითადი პრინციპების შესახებ და მიიღო შემდეგი დადგენილებანი:

ძირითადი პრინციპები სათემო დებულებისა.

1) ადგილობრივი მართველობა ორ საფეხურიანია: მაზრის და სათემო.

შენიშვნა: იქ, სადაც თემი რამოდენიმე სოფლისაგან შესდგება, უნდა იქნეს გამოყენებული უფლებრივი ნორმები, რომელიც უზრუნველყოფენ იქ წესიერ მართვა გამგეობას.

2) თემის ტერიტორია უნდა შეფარდებულ იქნას ყოფილ სოფლის საზოგადოების ფარგლებთან. სოფლების გადაჯგუფება და თემების გაყოფა შესაძლებელია, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

3) თემის მართველობა ნაწილდება განკარგულებელ და აღმასრულებელ ხელისუფლებათ.

4) განკარგულებელი ხელისუფლება ეკუთვნის თემის საბჭოს, აგებულს წარმომადგენლობითი პრინციპებზე საყოველთაო და პირდაპირის საარჩევნო წესით.

5) თემის მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის გამგეობას. გამგეობა კოლეგიალური დაწესებულებაა და მუდმივად მოქმედი. გამგეობაში ერთი არის თავმჯდომარე, მეორე მოადგილე, დანარჩენი წევრები.

6) მაზრის ერობა არის ადგილობრივი მართველობის მეორე საფეხური აგებული წარმომადგენლობის პრინციპზე პირდაპირი საყოველთაო საარჩევნო წესით.

7) თემის მოქმედების კონტროლს კანონიერობის მხრით უწევს სათანადო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილება. თემის საბჭოს საყურადღებო დადგენილებანი (დიდ სესხებზე, კონცესიებზე, თემის ქონების დიდ იჯარებზე და სხ.), რომლებიც სათანადო დებულებაში იქნება აღნუსხული, საჭიროებენ მთავრობის დასტურს, რომელიც უნდა მოხდეს მაზრის ერობის წინასწარი დასკვნის შემდეგ.

9) სამაზრო ერობას აქვს თავის დამოუკიდებელი ბიუჯეტი, სამაზრო მართველობის გადასახადების საგნებზე თემი აწესებს განსაზღვრულ პროცენტს თავის სასარგებლოთ.

თემს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი საბიუჯეტო უფლებანი.

---

*) რეზოლუცია მოთავსებული იყო „ერთ.“ № 32.

ფოსტა-ტელეგრაფში

სოხუმიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოსამსახურეთა საერთო კრებამ, რომელიც შესდგა 6 თებერვალს, მოისმინა რა რაიონული გამგეობის მოხსენება ამა წლის 16 იანვარს მომხდარ კონფერენციის მუშაობის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში 1) რომ ახლანდელი ცენტრალური გამგეობა ისეთ პირთა ხელშია, რომელთაც არ აინტერესებთ პროფესიონალური საქმე და ყველა კითხვებს სწყვეტენ ვიწრო პარტიულ თვალსაზრისით, რითაც შეაქვთ ფოსტა-ტელეგრაფის დემოკრატიაში განხეთქილებანი. 2) ნახევარ წელზე მეტია, რაც მოქმედობს ცენტრალური გამგეობა და მოსამსახურეთა კულტურულ ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად არაფერი გაუკეთებია. 3) პროფესიონალური უფლებათა გაფართოების ნაცვლად ცენტრალურმა გამგეობამ თავის ინტრიგებით ადმინისტრაციის წინაშე, ამ სფეროშიაც მრავალი უფლებები დაჰკარგა. საზოგადო კრებამ დაადგინა: 1) გამოეცხადოს ცენტრალურ გამგეობას უნდობლობა 2) არავითარი საპროცენტო გადასახადი არ გაეგზავნოს მას და ასეთი შეინახონ რაიონულ გამგეობაში ახალ ცენტრალური გამგეობის არჩევნებამდე.

კრებისთ. თავმჯდომარე გ. მელუხაძე მდივანი გ. ხამუშია.

პროფესიონალურ კავშირებში

სურსათზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირში.

4 თებერვალს შესდგა სურსათზე მომუშავეთა პროფ. კავშირის ცენტრალური გამგეობის სხდომა. განსახილველი იყო საკითხები: 1) პრეზიდიუმისა და საკონფლიქტო კომისიის არჩევნები; 2) მცხობელ მუშების სექციის მოწყობა; 3) რკინის გზის ბუფეტის საქმე; 4) მინერალური წყლის ქარხნის მუშების საქმე 5) ლუდის ქარხნის მუშების საქმე და 6) ცენტრალურ საბჭოში გასაგზავნი წარმომადგენლების არჩევა.

პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გრიშაშვილი, მის პირველ ამხანაგათ ამაშუკელი, მეორე—ხერხეულიძე. მოლარის არჩევა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის. ამის შემდეგ სხდომამ შეუსწორებლად დაამტკიცა საზოგადო კრების აქტი.

კავშირთან სალიკვიდაციო კომისიის დაარსების შესახებ დადგენილ იქნა: ვინაიდან ქალაქის გამგეობასთან არსებობს ცენტრალური სალიკვიდაციო კომისია, ამიტომ ასეთი კომისიის კავშირთან დაარსება ზედმეტია.

მეპურე მუშების ჯამაგირის მომატების შესახებ მოხსენებას აკეთებს მ. იოსელიანი, რომელიც მოითხოვს, რომ მეპურე მუშებს გაუთანაბრდეთ ჯამაგირი სხვა კვალიფიციურ მუშების ჯამაგირებთან და გადიდდეს მათზე 30 პროცენტის მომატებით; ხოლო ის შეღავათი, რომლითაც ნატურით სარგებლობენ ხსენებული მუშები, ფულად მოისპოს და თანხა მიეცეთ ჯამაგირით. გამგეობამ იქონია რა მსჯელობა ამ საკითხზე, დაუშვებლად სცნო მუშათა მოძრაობაში ასეთი შეღავათები, ვინაიდან ეს იქნება მეპატრონეთა ხერხი, რათა ნატურით მოისყიდონ მუშები და ამით გამოიყენონ მათი შრომა არა 8 საათის მუშაობის სახით, არამედ—12-ზე მეტით. მუშათა ასეთ მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ ბრძოლა მუშათა და მეპატრონეთა შორის, მიუხედავად ამისა დღეს, ასეთ მაგალითებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს კავშირის ირგვლივ და მუშები მთლიანად გადაყვანილი უნდა იქნან ჯამაგირზე. ამის შესახებ ეცნობოს სატარიფო პალატას, რომ მან სათანადო

ზომები მიიღოს ტარიფის გატარების შესახებ.

ცენტრალურ საბჭოში წარმომადგენლად არჩეულ იქნა ამხ. ხერხეულიძე, ბოკერია, ფანცხავა, სვრომიანი, აბაშიძე, ქერხული, ვრუმიძე და ჟუნიანი.

მინერალურ წყლების ქარხნებში მომუშავე კონდუქტორების შესახებ სხდომამ მოისმინა რა მოხსენება, რომ ლიმონათის ქარხნებში მომუშავე კონდუქტორები არ ითვლებიან მუშებად, არამედ—არიან შუამავალნი მეპატრონეთა და მყიდველ შორის და მათი მუშაობა სწარმოებს პროცენტის და არა თვიური ჯამაგირის სახით, დაადგინა: ყველა კონდუქტორები ვალდებული არიან გადავიდნენ ჯამაგირებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში პროცენტზე მომუშავენი, როგორც დაინტერესებულნი მუშათა ექსპლოატაციაში, ითვლებიან ქარხნის ადმინისტრატორებად და კავშირებში დაშვებული არ იქნებიან.

მოისმინა მოხსენება რკინის გზის ფურნის მუშების რკინის გზის მუშათა კავშირში გადასვლის შესახებ,—გამგეობამ მიიღო მეფურნე მუშათა საზოგადო კრების რეზოლუცია: ვინაიდან რკინის გზის ფურნეში მუშაობენ მხოლოდ მეპურე მუშები და ფურნე კი იმყოფება რკინის გზის კავშირის განკარგულებაში, რაიც რკ. გზის კავშირს ხდის მეპურე მუშების ადმინისტრაციად და ვინაიდან ხსენებულ მუშების რკ. გზის კავშირში შესვლით შეუძლებელია დაცულ იქნას მათი ინტერესები, ამიტომ ისინი უნდა დარჩნენ მეპურე მუშათა სექციაში, რაიც ეცნობოს შრომის კომისარს, კავშირთა საბჭოს და რკინის გზელების ცენტრალურ კავშირს. მოსმენილ იქნა მოხსენება ლუდის ქარხნის „დიტრიხი"-ს ამხანაგობის, ადმინისტრაციის მიერ ორი მუშის დათხოვნის შესახებ და დაადგინა ამ საქმის მოგვარება მიენდოს პრეზიდიუმს.

1 თებერვალს შემდგარმა მეპურე მუშათა სექციის საზოგადო კრებამ მოისმინა რა მოხსენება რკინის გზის ფურნეში მომუშავეთა შესახებ, დაადგინა: ვინაიდან რკინის გზის ცენტრალურ ფურნეში მუშაობენ მხოლოდ მეპურე მუშები, საზოგადო კრება პროტესტს აცხადებს მათი რკინის გზის მუშათა კავშირის გადაყვანის შესახებ და მოითხოვს, რომ მეპურე მუშები დარჩნენ მეპურე მუშათა კავშირში და ამის შესახებ ეცნობოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატს, შრომის კომისარს და რკინის გზის მუშათა ცენტრალურ კავშირს.

ამის შემდეგ საზოგადო კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება და დაადგინა: ვინაიდან სექციის წევრთა უმრავლესობას არ შეუტანია სექციის სასარგებლოდ 1 პროცენტი გადასახადი, სხდომა აუცილებელ საჭიროდ სთვლის მიეცეს წინადადება იმ წევრებს, რომელთაც კავშირში არ შეუტანიათ 1 პროცენტი გადასახადი კავშირის სასარგებლოთ, გადაიხადონ ასეთი 15 თებერვლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გამორიცხული იქნებიან კავშირის წევრობიდან და მოხსნილი სამუშაოდან.

საავადმყოფო კასის შესახებ საზოგადო კრება ადგენს: საავადმყოფო კასა დარჩეს სექციასთან. არჩეულ იქნეს 3 პირისაგან შემდგარი გამგეობა და მოწვეულ იქნეს გამოცდილი ამხანაგი, რომელიც აწარმოებს საავადმყოფო კასის საქმეს.

მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა:

მთავრობის სახლის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვის გადათვალიერება ამ შენობის ცეცხლისაგან დაზიანებულ ნაწილის შეკეთების ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა მიენდოს [illegible] კომისიას ინჟ. გურამიშვილის თავმჯდომარეობით.

— გზების ელექტროფიკაციის საკითხის შესაფერი მასალები გადაეგზავნოს ეკონომიურ დელეგაციას და მასვე მიენდოს ხსენებულ საკითხის ადგილობრივ მოგვარება.

მოხსენება ჯარის ნაწილთა სატენიკო და საინჟინერო მცირე გუნდების დამთავრებულთათვის სამსახურის ვადის ორი წლით გადიდების შესახებ მოწონებულ იქნას.

— რკინის გზებისათვის სათადარიგო ნაწილების შესაძენად ევროპაში კაცის გაგზავნის საკითხი პრინციპიალურად მიღებულ იქნას, ხოლო მისი გაგზავნის დროისა და პირობათა გამორკვევა მიენდოს დაინტერესებულ უწყებათა მეთაურთ.

— სიღნაღის გზატკეცილის შესაკეთებლად გადაიდოს 23 256 მანეთი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. საქართ. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა შესდგა 5 თებერვალს. განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება მეშვიდე რაიონის კოლექტივის წარმომადგენლისა, 2) პარტიული მუშაობა, 3) საფინანსო და საპროპაგანდო კომისიების არჩევა. 4) სამხედრო სასურსათო მაღაზიიდან ორი მუშის დათხოვა. 5) მოხსენება ამავე სასურსათო მაღაზიიდან.

1) მეშვიდე რაიონის წარმომადგენელმა კოლექტივს განუცხადა, რომ რაიონების შეერთება და საზოგადო კრების მოწვევა, სადაც უნდა მოხსენება წაეკითხა ამხ. ევ. გეგეჭკორს,—ვერ ხერხდება. განცხადება მეშვიდე რაიონის წარმომადგენლისა გულის ტკივილით მოისმინა კოლექტივმა და ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევებში რაიონები ვერ მუშაობენ შეთანხმებულად.

2) პარტიული მუშაობის შესახებ კოლექტივმა აღნიშნა არამიანცის საავადმყოფოში არსებული „იაჩეიკის" უმოქმედობა და დაავალა ამხ. ანდ. ვაშაკიძეს ხსენებული იაჩეიკის მუშაობა გამოაცოცხლოს.

3) საფინანსო და საპროპაგანდო კომისიის არჩევა მეორედ კოლექტივმა საჭიროდ სცნო და ამიტომ საფინანსო კომისიაში აირჩია ამხ. იოს. ზარამაშვილი, დ. ხუთლაშვილი და ს. თურმანიძე.

საპროპაგანდო კომისიაში: იოს. ხუციშვილი, ოლ. ბაქრაძე, ნ. სხულუხია, ანდ. ვაშაკიძე, კ. წერეთელი.

4) სამხედრო სასურსათო მაღაზიიდან დათხოვნილი ორი მუშის ფირცხალაიშვილისა და კაცაძის შესახებ კოლექტივმა მოისმინა საგამომძიებლო კომისიის აზრი და დარწმუნდა, რომ ამ ორ მუშას თავის სამსახურის დროს არ ჩაუდენიათ არავითარი ბოროტ მოქმედება, რაც აღიარებულ იქნა 11 კაცის ჩვენებით, და თვით სასურსათო მაღაზიის გამგის რამიშვილის ჩვენებითაც, მხოლოდ უბრალო გაუგებრობის გამო იქნენ დათხოვნილი ადგილებიდან, ამიტომ კოლექტივი სამართლიანად სთვლის რომ კომისიამ მოითხოვოს ხსენებული მუშების ადგილზე დაბრუნება. კომისიას ევალება აგრეთვე პრეზიდიუმთან ერთათ შემუშაოს კოლექტიური ხელშეკრულება ხსენებული სასურსათო მაღაზიის მუშებისთვის, რომ ამით გარანტია იქნეს, რათა მუშების დათხოვნა ხდებოდეს კანონიერ ფარგლებში.

5) მოხსენება ამავე სასურსათო მაღაზიიდან; მომხსენებელი ამხ. მ ხუხუნაიშვილი კოლექტივს აცნობს, რომ ადგილობრივი „იაჩეიკა" გადაიქცევა მცირე კოლექტივათ და ამისათვის საჭიროა კოლექტივმა დაამტკიცოს მცირე კოლექტივი და მისცეს მას სათანადო უფლება. მოხსენება სიამოვნებით მოისმინა კოლექტივმა და ახლად დაარსებულ მცირე კოლექტივს უსურვა ნაყოფიერი მუშაობა.

მერხვი.

თფილისი. 10 თებერვალს შესდგა ნაძალადევის თეატრის შენობაში პირველ რაიონულ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება ამხ. გ. ბახტაძის თავმჯდომარეობით. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ზოგიერთ პირების მიერ, აღნიშნულ რაიონის გვარდიელებზე პროვოკაციულ ხმების გავრცელების შესახებ; 2) მოხსენება დეპოს და მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეების პროფესიონ. კავშირის ს. დ. ფრაქციის წარმომადგენლის მთავარ სახელოსნოებში ჯამაგირზე 60 პროც. მომატების მომხდარ უორგანიზაციო გამოსვლების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს გვარდიის შტაბის წარმომადგენელი ამხ. ძამანაშვილი. მომხსენებელი აღნიშნავს თავის მოხსენებაში გვარდიის წარმოშობის მიზეზებს, უთითებს, რომ გვარდია შესდგება მუშებისაგან და როგორც ასეთი, ის იბრძოდა და იბრძოლებს მომავალშიაც დემოკრატიის და მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ კი რამე დანაშაული მიუძღვის მუშების წინაშე, ჩვენ მზათ ვართ ჩავაბაროთ თოფები და ტანისამოსი და დასჯილნი ვიქნეთ შესაფერისათ, ათავებს თავის სიტყვას მომხსენებელი. აღნიშნულ საკითხის შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

მოისმინა რა მოხსენება ამხ. ძამანაშვილის ზოგიერთ პირების მიერ გვარდიელებზე პროვოკაციულ ხმების გავრცელების შესახებ, საქ. სოც. დემ. მუშ. პარ. პირველ რაიონულ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება უცხადებს სრულ ნდობას თავის წიაღიდან წარმოშობილ შეიარაღებულ ძალას პირველ რაიონულ სახალხო გვარდიას, რომელიც სისხლი სიერთ და თავის სისხლით გმირულათ იცავს დემოკრატიის და მუშათა კლასის ინტერესებს. ამასთანავე კრება ირჩევს თავის შემადგენლობიდან ხუთი კაცისაგან შემდგარ კომისიას, დაწვრილებითი ცნობების შესაკრებათ იმ პირების შესახებ, რომლებიც თავის მოქმედებით შეაქვთ შუღლი მუშებს და გვარდიელებს შორის... კომისიაში არჩეულ იქნენ: ი. გიორგაძე, ი. მანჯგალაძე, დ. კალაძე, დ. ლორთქიფანიძე და ალ. ძამიძე.

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს დეპოს და მთავ. სახელოსნოების მუშა მოსამსახურეების პროფეს. კავშირის თავმჯდომარე ამხ. კ. მაჭარაძე. მომხსენებელი მწუხარებით აღნიშნავს, რომ მუშების უორგანიზაციო გამოსვლებში მონაწილეობას ღებულობენ ზოგიერთი ჩვენი პარტიის წევრებიც, რაც დიდ დანაშაულათ უნდა ჩაითვალოს პარტიის წინაშე. ამ საკითხის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა მოხსენება დეპოს და მთავ. სახელოსნოების მუშა - მოსამსახურეების პროფეს. კავშირის ს. დ. ფრაქციის წარმომადგენლის ამხ. კ. მაჭარაძისა ჯამაგირზე 60 პროც. მომატების გარშემო, მთავარ სახელოსნოებში მომხდარ უორგანიზაციო გამოსვლების შესახებ, საქ. სოც. დემ. მუშ. პარ. პირველ რაიონულ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება, გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას ზოგიერთ პარტიის წევრების მიერ პარტიულ დისციპლინის დარღვევის გამო და მოუწოდებს მოწინავე მუშებს მიიღონ ზომები, რომ შემდეგში ადგილი არა ჰქონდეს მუშათა შორის ასეთ გამოსვლებს... ამასთანავე კრება ადგენს: თუ წარმოების განსაკუთრებული პირობები მოითხოვს ზედმეტ საათებში მუშაობას და ამას დაადასტურებს ადგილობრივი რაიონული კავშირი, პარტიის წევრები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ კავშირის დადგენილებას. ბოლოს კოლექტივის მდივანი მოუწოდებს კრებას მიიღონ მხურვალე მონაწილეობა კოლექტივის ახალ წევრების არჩევნებში.

11 თებერვალს შესდგა კოლექტივის წევრთა სხდომა ამხ. გ. ბახტაძის თავმჯდომარეობით.

პირველათ მოხსენებას აკეთებენ ადგილობრივებიდან. გამოირკვა, რომ ქვე-კოლექტივებს უკვე დაუსახელებიათ კანდიდატები კოლექტივში ასარჩევათ.

შემდეგ კრება ადასტურებს - პარტიულ სასამართლოს დადგენილებას წერეთლიშვილის და თვალიაშვილის პარტიაში უკანვე მიღების შესახებ.

პარტიიდან გარიცხულ ალექსანდრე მიქაძეს მიერ ცენტრალურ კომიტეტში შეტანილ განცხადების თანახმათ, დანიშნულ პარტიულ სასამართლოში არჩეულ იქნა კოლექტივის მხრივ ამხ. ი. მანჯგალაძე.

ამასთანავე კრება გამოსთქვამს—ვინც სამი თვის განმავლობაში არ შემოიტანს საწევრო გადასახადს—ის უსათუოდ გარიცხულ იქნება პარტიიდან—და ხელმეორეთ მიიღება პარტიაში—საპატიო მიზეზის წარმოდგენით—როგორც ახალი წევრი.

შემდეგ კრებამ პარტიიდან გარიცხა ალექსანდრე სიხარულიძე თანახმათ პარტიულ წესდების 1 მუხლისა საწევრო გადასახადის თავის დროზე არ შეტანისათვის.

ბოლოს კრებამ გადასწყვიტა კოლექტივის ახალი წევრების ასარჩევათ მოწვეულ იქნეს მუშტაიდის კლუბში საერთო პარტიული კრება შაბათს, 17 თებერვალს.

მდივანი.

მუშათა შორის

თელავის მაზრა. ჩვენი რესპუბლიკა მოიფინა სხვადასხვა ორგანიზაციებით. მათ რიცხვში მთავარი ადგილი დაიჭირა პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა. ამ მხრივ არც თელავის მაზრა ჩამორჩა საერთო მსვლელობას. პროფესიონალურ კავშირებს თელავის მაზრაში თითქმის ერთი წლის ისტორია აქვს. გასულ წელს, 21 დეკემბერს, მოხდა მთელი მაზრის პროფ. კავშ. ყრილობა, რომელმაც აირჩია საბჭო 13 კაცისაგან შემდგარი. ამ ხნიდან იწყება უფრო მწყობრი და ორგანიზაციული მუშაობა კავშირებისა. საბჭოში ითვლებიან წევრებათ 8 პროფ. კავშირი: 1) ერობის მოსამსახურეთა, 2) თელავის კოოპერატივების მოსამსახურეთა, 3) სახელმწიფო მამულების მუშების, 4) დალაქების, 5) ქ. თელავის თვითმართველობის, 6) ხელოსანთა კავშირი, 7) ფარმაცევტების კავშირი, 8) სავაჭროებში მოსამსახურეთა კავშირი.

მატერიალური მდგომარეობა მომუშავეთა ძლიერ ცუდია. სიძვირე ამ ორი თვის განმავლობაში გაიზარდა 400 პროც., მაშინ როდესაც არიან ისეთი დაწესებულებები, სადაც 40 პროც. მომატებაც არ გატარებულა ცხოვრებაში. სამაზრო ერობა აქამდე უფრო აქცევდა ყურადღებას მოსამსახურეებს: ბოლოდროს აძლევდა თითო მოსამსახურეს 100 მან. ფუთს, სიმინდს 50 მ. ფუთს (დიდ ოჯახიანს 3 ფ.—პატარა—2 ფ.), შაქარს 12 მ. გირვანქას (დიდ ოჯახიანს 5 გ. პატარა 3 გ.) იანვრიდან ფასები სურსათს მოუმატეს, ნორმა მიცემისა შეამცირეს. ერობის მოსამსახურეთა კავშირს აქვს თავისი საწყობი. კავშირი ფიქრობს თანდათან გააფართოვოს საწყობი და ხელი შეუწყოს მოსამსახურეებს დაკლებულ ფასებში შეიძინონ სურსათი. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი კავშირის წევრებს შეაქვთ დეზორგანიზაცია კავშირში. საჭიროა თვით კავშირის წევრებმა მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება.

სახელმწიფო მამულების მუშები დიდ გაჭირვებას განიცდიან: 40 პროც. და 60 პროც. მომატებით მათ ექნებათ ჯამაგირი 1600 მან. თვეში, რაც ძლიერ მცირედათ ჩაითვლება მაზრაში. მუშებს მამულების ზოგიერთი გამგენი ძლიერ ავიწროებენ: არ აძლევენ საშუალებას, რომ სამივე მამულების მუშების წარმომადგენლები ერთათ შეიკრიბონ, არ აძლევენ თავისუფლებას, აჯარიმებენ და სხ. მამულების მოსამსახურეებს აკრძალული აქვთ შევიდნენ მუშების პროფ. კავშირში; ეს გარემოება ძლიერ აფერხებს მუშების ორგანიზაციებს; მათ აკლიათ ინტელიგენტური ძალები, ხშირათ ვერ წერენ ოქმებს, რისთვისაც თვლავენ იწვევენ დამწერს. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება.

ვ ფერაძე.

პროვინცია

ქიზიყი ძლივს, ამდენი ლოდინის შემდეგ ეღირსა თოვლი. დღემდის გაზაფხულივით თბილოდა. რა თქმა უნდა, თაგვიც გამრავლდა. ყოველ ნაბიჯზე თაგვის სოროებს ნახავთ. თემების მიმართვა სიღნაღის სამაზრო ერობისადმი, შრატის შესახებ რჩებოდა უშედეგოთ, ვინაიდან შრატი არ არის.

სახაზინო გადასახადს ხალხი მეყვათ იხდის, თუ კი თემების გამგეობა თავის დროზე მიიღებს ზომებს. სამაზრო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, შემოიარეს ზოგიერთი თემები და საქმის ვითარებას ეცნობოდენ. ჩამოიარა თემები სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობის წევრმა ი. კრაწ შვილმა.

ორიოდე თვის წინ აქ აჰყარეს იარაღი ოთხს თემს. ვიმედოვნებთ, რომ ამის ინიციატორები არ დაკმაყოფილდებიან ამით და მალე შეუდგებიან მაზრაში იარაღის აყრას.

იჩინა თავი აგრეთვე ყაჩაღობამ. ყაჩაღები ბუდობენ არაშენ და მელაანგურჯაანის რაიონებში ჯერ-ჯერობით გაძარცულია სამიოდე ოჯახი და ათიოდე მგზავრი. ამათ წინააღმდეგ ზომებს იღებენ

ადგილობრივი.

ზესტაფონი. უკვე მეორე თვე მიდის, რაც ზესტაფონის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის სააზნაო განყოფილების მასწავლებელი ავათ გახდა და თავის მოვალეობას ვეღარ ასრულებს. მშობლები აქამდის ვითმენდით, დაიმედებულნი, რომ სასწავლებლის გამგე მიიღებდა რაიმე ზომებს ამ ნაკლის გამოსასწორებლათ, მაგრამ იმედი არ გვიმართლდება. კაი ხანია რაც ეუბნებიან მოწაფეებს მასწავლებელი ხვალ იქნებაო, მაგრამ, აქამდის მასწავლებელი არსად ჩანს. პატარა ბავშვებს უნიშნავენ მასწავლებლათ მესამე განყოფილების მოწაფეს, რომელიც, ეტყობა გარეშეა, ბავშვებს ყურადღებას აქცევს მხოლოდ უბრალოთ ალაგებინებს სკოლაში. ყველასათვის ცხადია, თუ რას ნიშნავს მოწაფეებისათვის თვეობით სწავლის შეწყვეტა, თუ მასწავლებელი არ იშოვება, უკეთესი იქნებოდა მოწაფეები მთლათ დაითხოვონ და მშობლები ვეცდებით რამე სხვა საშუალება გამოვნახოთ.

დროა აღიკვეთოს ასეთი არა სასურველი მოვლენები და მიექცეს ღირსეული ყურადღება ზემოთ ხსენებულ შემთხვევას.

მშობლებთაგანი.

ზემო-გომი (ქართლი) იანვრის 28-ს ამხ. ე ლომიძის ხელმძღვანელობით სოფ. მოხისში (გორის მაზრა) შესდგა მოქალაქეთა საზოგადო კრება, სადაც გაეცნო დამსწრე საზოგადოება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების აქტს. მან ხალხში დიდი კმაყოფილება გამოიწვია. აგრეთვე მრავალ-გვარ საქმის ბოროტო საკითხებზე ილაპარაკეს ამხ. მ. ხითაროვმა და მ. მეფარიშვილმა, რომელთაც ხალხი გულდასმით უსმენდა და შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელ პასუხს ღებულობდა.

სოფ. მოხისში დაარსდა საქ. სოც. დემ. მ. პ. ორგანიზაცია, რომლის პრეზიდიუმში შედიან შემდეგი პირნი: 1) ვანო ნავროზაშვილი (თავმჯდომარე) 2) ა. ლობჯანიძე (თავმჯ. ამხანაგი) 3) მ. მეტივიშვილი (მდივანი) და ხაზინადრად ივანე გოქაძე. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამხანაგები დაუზარელად ხელს შეუწყობენ მუშათა ინტერესების დამცველ ორგანიზაციის აღორძინებას.

ხარდალი.

ახალციხის მილიცია.

ბევრი ითქვა და დაიწერა ახალციხის მილიციის შესახებ; ბევრ საზიზღრობას, ქრთამების აღებას, ტუსაღების განთავისუფლებასა და ფულის გულისათვის უდანაშაულო კაცის დატუსაღებასა ჰქონდა ადგილი. ამის გამო მთავრობის მიერ იყო დანიშნული სენატორის რევიზია, რომელმაც ბრინჯივით დააჩრია ყველანი, ზოგი შეიპყრო და ზოგიც დაითხოვა სამსახურიდან, მაგრამ ვინც სახელმწიფოს ტკივილს თავის ტკივილად იღებდა, ვინც თავსა და სიცოცხლეს არა ზოგავდა სისხლით მორწყულ რესპუბლიკისათვის, ის ერთ ალაგას გაიყვანა და თავისი მდგომარეობით იმ პირობებში ჩააყენა, რომ შეიძლება ადგილათაც დაჯდეს დამნაშავის სკამზედ. მთელ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის სივრცეზედ, მგონია ისე არავის უფასდება შრომა, როგორც ახალციხის მილიციას... ენით აუწერელია ის უკიდურესი გაჭირვება, რომელსაც ჩვენ განვიცდით.

ქალაქის მილიციის უფროსი თვეში იღებს 1,350 მან. სამსახურის გამო მას უხდება თვეში საშუალო მაინც ჩასვლა ახალციხეში და მარტო გზის ფული, სიშორის გამო დასჭირდება თითო წასვლაზედ 500—600 მან.—თვეში 1800 მანეთამდე და ზოგჯერაც მეტი. ჩანს, მთელი თვის განმავლობაში, რომ სრულიად არაფერი სჭამოს და ფეხშიშველმა და ტიტველმა იაროს, მარტო გზისათვის ზედმეტი დასჭირდება. 450 მან... ჩაი-შაქარი და ამისთანა კომფორტია. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ასეთი მცირე ჯამაგირით მილიცია თავს ვერ შეინახავს და ასეთ პირობებში, რომ გამოჩნდეს ხელ მოკლე ადამიანი და პირსა შინა ვერ გაუმაგრდეს ეს ადვილი შესაძლებელია. ბევრი მილიციელი ძალა-უნებურად ნისიათ ხარჯავს მედუქნეებთან და ამით, რასაკვირველია, ეჭვს ბადავს ხალხში.

ამ პირობებში რომ მილიცია თავის ადგილზედ არ იდგეს, გასაკვირველი არ არის. ვინაიდან ამ ჟამად იგი წარმოადგენს მშიერთა ბრბოს; გახვეულს ძონძებში.

უმცროს ცხენოსან მილიციონერს 900 მან. აქვს თვეში ჯამაგირი და ეს ცხენის გამოსაკვებადაც არა ჰყოფნის, რადგანაც ფუთი ქერი 400 მანეთამდე ავიდა. ასე რომ ის მარტო ცხენისათვის მსახურობს და თითონ კი შიერმა უნდა აცხოვროს და შემოსოს. ქვეითი მილიციონერი 590 მან. იღებს. მათ უკვე სიოცნებოდ გაუხდათ ლობიო და მიუხედავად ამისა, თითოს ერთ ნახევარი ამ ჯამაგირისა ედება ყოველთვიურად ვალად. სიმშილისა გამო ყველა ფერ წასული და დაავადმყოფებულია და 15—20 გრადუს ყინვაში დაგლეჯილ ქალამნებით უჭირავთ სიარული.

საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და თუ გვინდა, რომ მილიცია თავის დონეზე იდგეს, ის უნდა უზრუნველვყოთ.

შეთე.

წერ. რედაქციის მიმართ

გულითად მადლობას ვწირავთ თელავის სამაზრო ერობას, თელავის თვითმართველობას და თელავის კოოპერატივ „ერთობა"-ს. თელავის ახლად დაარსებულ მუშათა კლუბს. პირველმა შემოსწირა 10,000 მან. ფულად და ფას-დაკლებით დაუთმო ხალვკორაციო ჩითები, ფარდები და სხვა. მეორემ შემოსწირა 5,000 მან. ფულად და ფიცრები სცენისთვის და სკამეიკებისთვის. მესამემ 1151 მ. ფული.

თელავის მუშათა კლუბის გამგეობა.

განცხადებანი

როიალი და პიანინო

შემთხვევით იყიდება გ. კაპლანსკის მუსიკალურ მაღაზიაში, რუსთაველის პროსპ. ის. ლადიძის გვერდით.

(540 1—1)

ექიმი ა. დიმენშტეინი

შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლევების: ჰაჰების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

[illegible]

ექიმი აბაშიძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ჭლექის აქიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. ხიმშიაშვილის სახლში. (კუპ. 60)

ექიმი

ზ. ი. მირიანაშვილი

შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი დ. მ. ჯაჯანიძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 9—?, საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.

ექიმი დ. ა. ხარაძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37, [illegible] აუდიტორიის ახლო.

ექიმი ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ფილტვების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ.

ექიმი

ნ. დ. ცერიაშვილი

იღებს შინაგან, საზებით და ქალთა ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—18. (119—თ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმ ნავასარდიანისა

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დაარსებ. 1880 წ.

ყოველ დღე კვირის გარდა.

„606" და „914" 11—12 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ხირურგ. და შინ. ავად. (სიფილისი).

გ. მ. ამახარაძე —10—12 ს. შინაგ ნერვ. და საბავშვო ავად. [illegible]

მ. მ. ავეტიხიანი 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.

კარაულოვ-ბებურიშვილი—12—1 საათ. (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.

ე. ა. ხომერიკი—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).

ტერ გრიგორიან—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.

დარიბებს დარიგება უფასოდ.

სამკურნალოს დირექტორი

(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო

ექ. დონხინისა

(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141 ტელეფ. 3—97

(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს" გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები (თ. 218)

ექიმი გ. მ. [illegible]

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87. (114—თ).

ექიმი ქალი გ. ს. ბებურიშვილი.

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 სას. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.